USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

ბიზნესის შეხედულებები საქართველოში სასამართლო სისტემის შესახებ

ოქტომბერი 31, 2021

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია CRRC-საქართველო. ის შეიძლება არ ასახავდეს დელოიტ ქონსალთინგის, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

ბიზნესის შეხედულებები საქართველოში სასამართლო სისტემის შესახებ

ოქტომბერი 31, 2021

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა
კონტრაქტის ნომერი: 7200AA18D00009

დავალების ნომერი: 72011420F00001

„დელოიტ ქონსალთინგი“

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო | საქართველო

USAID | GEORGIA

USAID-ის პროგრამა „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLOG)

აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია CRRC-საქართველო. ის შეიძლება არ ასახავდეს დელოიტ ქონსალთინგის, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

Report Summary in English

CRRC-Georgia conducted a mixed methods study in the period of May-July 2021 with the goal of studying the attitudes, experiences, and challenges the business community has in relation to the judiciary. The USAID Promoting Rule of Law in Georgia (PROLoG) Activity and the USAID Economic Governance Program supported the research.

The goal of the study was to assess the attitudes of businesses towards the court system in Georgia, their experience with courts in the past five years, and the difficulties that businesses encounter due to the current state of the judiciary.

To address the above-described research questions, CRRC-Georgia carried out a mixed methods study, including a survey of businesses, in-depth interviews with large businesses and the Association of Law Firms of Georgia, and focus groups with medium and small business people in Tbilisi, Adjara, Samegrelo and East Georgia, and micro-finance institutions.

სარჩევი

მოკლე მიმოხილვა **2**

შესავალი **8**

ძირითადი მიგნებები **10**

სასამართლო სისტემის ზოგადი შეფასებები და ბიზნესის წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევები **10**

გამოწვევები, რომლებსაც ბიზნესი სასამართლო სისტემაში აწყდება 20

კომერციული პალატა / მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია 26

სასამართლოში კორუფციის აღქმა 28

სასამართლო სისტემის ამჟამინდელი მდგომარეობის გავლენა ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებაზე **29**

სასამართლო გამოცდილება **33**

მიმართვიანობა 35

კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა სასამართლო სისტემაზე 38

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება **39**

სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების შეფასება 42

ყადაღის დადება 44

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები **45**

დასკვნა **51**

დანართი **56**

დანართი 1: მეთოდოლოგია **56**

დანართი 2: სიხშირეები და კროსტაბულაციები **58**

ფოკუს ჯგუფი მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან აჭარაში: 72

ფოკუს ჯგუფი საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან აღმოსავლეთ საქართველოში: 72

ფოკუს ჯგუფი საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან სამეგრელოში: 72

ფოკუს ჯგუფი საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან და იურისტებთან თბილისში: 73

ფოკუს ჯგუფი მიკროსაფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან: 73

სიღრმისეული ინტერვიუები 73

მოკლე მიმოხილვა

2021 წლის მაისიდან ივლისამდე პერიოდში CRRC-საქართველომ ჩაატარა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა სასამართლო სისტემის მიმართ ბიზნესის წარმომადგენლების დამოკიდებულებების, გამოცდილებისა და იმ გამოწვევების შესწავლას, რასაც ბიზნესი სასამართლოსთან მიმართებით აწყდება. კვლევის მხარდამჭერები აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) კანონის უზენაესობის პროგრამა (PROLoG) და ეკონომიკური მმართველობის პროგრამა იყო.

კვლევა შედგებოდა შემდეგი კომპონენტებისგან: ბიზნესების სატელეფონო გამოკითხვა, სიღრმისეული ინტერვიუები მსხვილი ბიზნესისა და იურიდიული ფირმების წარმომადგენლებთან, ფოკუს ჯგუფები საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან თბილისში, აჭარაში, სამეგრელოსა და აღმოსავლეთ საქართველოში, ასევე, მიკროსაფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან. მიკროსაფინანსო ინსტიტუტების ცალკე ჯგუფად გამოყოფა სასამართლოში მათი ჩართულობით არსებულ საქმეთა დიდმა რაოდენობამ განაპირობა.

ბოლო წლებში მართლმსაჯულების სისტემაში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა, რამაც გავლენა იქონია ბიზნესზე: სასამართლოში კომერციული პალატა ჩამოყალიბდა, რის შედეგადაც მოსამართლეების ნაწილმა კომერციულ საკითხებში სპეციალიზაცია მიიღო; არბიტრაჟის გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულება სააპელაციო სასამართლოს დაუკავშირდა; მოძრავი ქონების გამოკვლევაზე +)*მფლობელთა თანხმობა გახდა საჭირო. ამ ცვლილებების მიუხედავად, ბიზნესები სასამართლო სისტემასთან ურთიერთობისას მთელ რიგ გამოწვევებს აწყდებიან, რაც მათ მუშაობასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას აფერხებს.

ბიზნესების კვლევამ აჩვენა, რომ, საერთო ჯამში, ბიზნესებს საკმაოდ დადებითი დამოკიდებულება აქვთ სასამართლო სისტემის მიმართ. მათი დიდი ნაწილი (43%) სასამართლოს მუშაობას საშუალოდ აფასებს; უფრო მეტი წილი აფასებს დადებითად, ვიდრე უარყოფითად. ბიზნესები ნდობას უცხადებენ სასამართლოებს საქართველოში, მათგან ნახევარზე მეტი ამბობს, რომ ნაწილობრივ ენდობა, ხოლო 17% აცხადებს, რომ სასამართლოს სრულად ენდობა. მსგავსი სურათი გამოიკვეთა მოსამართლეთა კომპეტენციის შეფასებისას, ნახევარზე მეტს სჯერა, რომ საქართველოში მოსამართლეები ნაწილობრივ კომპეტენტურები არიან, ხოლო 13% ამბობს, რომ ძალიან კომპეტენტურები არიან. ამავდროულად, ბიზნესების უმრავლესობა ფიქრობს, რომ მოსამართლეები მხოლოდ ნაწილობრივ დამოუკიდებლები არიან. ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებსაც სჯერათ, რომ მოსამართლეები სრულად დამოუკიდებლები არ არიან, ყველაზე ხშირად ამბობენ, რომ მოსამართლეები მმართველ პარტიაზე, საქართველოს მთავრობასა და სასამართლო სისტემაში არსებულ კლანზე არიან დამოკიდებული.

საინტერესოა, რომ ერთადერთ კითხვაზე, რომელიც ხუთქულიანი სკალით იზომებოდა, პასუხების 40% შუალედურ პასუხზე „საშუალოზე“ მოდიოდა. შეფასებით კითხვებში, სადაც შუალედური პასუხი არ არსებობდა, რესპონდენტები უფრო მეტად დადებითი

შეფასებებისკენ იხრებოდნენ, როგორიცაა, მაგალითად: „ნაწილობრივ ვენდობი“, „ნაწილობრივ კომპეტენტური“ და „უფრო დამოუკიდებელი, ვიდრე არა“.

ამის საპირისპიროდ, ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების დროს, სასამართლო სისტემის შესახებ უფრო კრიტიკული შეფასებები ისმოდა. ეს შესაძლოა, მიუთითებდეს იმაზე, რომ ბიზნესის წარმომადგენლები სატელეფონო გამოკითხვისას უფრო თავშეკავებულ პასუხებს სცემდნენ.[1] თვისებრივი კვლევის რესპონდენტებს უფრო მეტად ჰქონდათ სასამართლო გამოცდილება ბოლო ხუთი წლის მანძილზე და რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მოსამართლეთა დამოუკიდებლობას ეჭვქვეშ აყენებდნენ. ასევე, მოსამართლეების კომპეტენციას უფრო მეტად კომერციულ და ბიზნეს სამართალში აკრიტიკებდნენ. გარდა ამისა, სასამართლო სისტემაში კლანის გავლენაზე საუბრობდნენ, რომელიც მოსამართლეებს ფინანსური და სხვა სახის წახალისებით აკონტროლებენ. რესპონდენტების მოსაზრებით, ზოგიერთი მოსამართლე კლანის სამსახურში ყოფნით თავის პროფესიულ ეთიკას არღვევს.

ბიზნესის წარმომადგენლები ეჭვქვეშ აყენებენ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის საკითხს და მიიჩნევენ, რომ მოსამართლეები მათი კოლეგების, მეზობლებისა და/ან ნათესავების ინტერესებს ითვალისწინებენ. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, მოსამართლემ ერთ-ერთ მოვალეს საპროცენტო განაკვეთი შეუმცირა იმის გამო, რომ აღნიშნული ფინანსური ინსტიტუტი მოსამართლის ნათესავს დაბალ ხელფასს უხდიდა. ასევე, ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, მოსამართლემ ფარმაცევტულ კომპანიასთან დაკავშირებულ საქმეზე სუბიექტური გადაწყვეტილება მიიღო, რადგან ის ამ კომპანიის აფთიაქის მომსახურებით უკმაყოფილო იყო.

ბიზნესის წარმომადგენლები სამართლიანობის საკითხს განსაკუთრებულ პრობლემად არ თვლიან. თუმცა, სასამართლოებს აკრიტიკებენ „სუსტის“ მხარდაჭერის გამო, როგორიცაა, მაგალითად, შრომით დავაში მყოფი დასაქმებულები. ერთ-ერთი რესპონდენტი მსგავს მიდგომას განმარტავს, როგორც „არაადეკვატურსა და არადასაბუთებად სოციალიზმს.“ რესპონდენტის აზრით, ამ შემთხვევაში არაერთი პროცედურული ხასიათის დარღვევა ხდება.

კვლევის ფარგლებში სასამართლო სისტემაში არსებულ დაბრკოლებებზე საუბრისას, ბიზნესის წარმომადგენლები ყველაზე ხშირ დაბრკოლებად სასამართლო პროცესების ხანგრძლივობასა და მათ გადადებას მიიჩნევენ. სასამართლოში საქმის წარმოების საშუალო ხანგრძლივობად სამი წელი დასახელდა. თუმცა, რესპონდენტებმა გაიხსენეს შემთხვევები, როცა საქმე ცხრა წელს და მეტხანსაც გრძელდებოდა. რესპონდენტების ძირითადი ნაწილის აზრით, საქმის განხილვების დაყოვნება სასამართლოს ბიზნესისთვის არაეფექტურ მექანიზმად აქცევს. ისინი ხშირად სადავო თანხების დაბრუნებას ვერ ახერხებენ, სამართლიანობის მოლოდინში კარგავენ ფულს ვალუტის რყევებისა და დროთა განმავლობაში მონეტარული დევალვაციის გამო. ამ პერიოდში სამართლის მომლოდინეთა გარდაცვალების ფაქტებიც მომხდარა.

[1] კვლევაში წარმოდგენილი თვისებრივი მონაცემები ძირითადად მსხვილი და საშუალო ბიზნესებისა და იურისტების შეხედულებებს ეფუძნება. მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს ზოგადი შეხედულებები ჰქონდათ და ხშირად კვლევის ფარგლებში ბევრ საკითხთან დაკავშირებით გამოცდილება არ ჰქონდათ.

თვისებრივი კვლევის ნაწილში რესპონდენტებმა სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებულ პრობლემებზეც ისაუბრეს. მათი აზრით, აღსრულებასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა კომერციულ ობიექტებსა და ფიზიკურ პირებს შორის, რომლებმაც იცოდნენ, რომ საქმეების მოგვარებას წლები დასჭირდებოდა, არაკეთილსინდისიერი ქცევა წარმოშვა.

საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები პატარა საქმეებს ასახელებდნენ, რომლის დასრულებისთვისაც სასამართლოს რამდენიმე კვირა დასჭირდა, ხოლო მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები სასამართლო გადაწყვეტილებების ან განკარგულებების მიღების ერთწლიან ან მეტხნიან შეფერხებაზე საუბრობენ, რომელსაც სასამართლო არა მიმდინარე, არამედ პირვანდელი თარიღით ათარიღებს. სასამართლოებსა და მოსამართლეებთან კომუნიკაციის პრობლემა, როგორც ჩანს, მსხვილი ბიზნესებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის უფრო ხშირია, ვიდრე მცირე ბიზნესებისთვის, განსაკუთრებით კი კოვიდ-19 პანდემიის დროს. ეს მიგნება თანხვედრაში მოდის დასკვნის იმ ნაწილთან, რომ ძალიან ცოტა მცირე ბიზნესის წარმომადგენელს ჰქონია სასამართლო გამოცდილება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

ბიზნესის წარმომადგენლები სასამართლო სისტემას, ასევე, იმის გამო აკრიტიკებენ, რომ მას საკმარისად არ ესმის ბიზნესის ფუნქციონირების პრინციპები და უგულებელყოფს ბიზნესის ინტერესებს. თვისებრივი კვლევის ნაწილში რესპონდენტები ძირითადად იმ გამოწვევებსა და პრობლემებზე საუბრობენ, რაც სასამართლო სისტემასთან შეხებისას გამოსცადეს და თვლიან, რომ ეს პრობლემები გარე სამართლებრივი სამყაროსთვის დახურული სასამართლო სისტემისგან მომდინარეობს. რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ სასამართლო სისტემა ცდილობს ისეთი ადამიანების დაწინაურებას და საბოლოო ჯამში მოსამართლედ დანიშვნას, რომლებიც უკვე სასამართლო სისტემაში მუშაობენ. ასევე, პრობლემად დასახელდა მოსამართლეებისთვის სოციალური გარანტიების ნაკლებობა და მოსამართლეების ანგარიშვალდებულების ნაკლებობა.

თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში სამართლის სხვადასხვა სფეროს ვიწრო სპეციალიზაცია განხორციელდა. თუმცა, საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებიც დედაქალაქის გარეთ ოპერირებენ, კომერციული პალატის არსებობის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ. მათ ასევე, არ აქვთ ინფორმაცია, რომ ზოგიერთი მოსამართლე კომერციული დავების მიმართულებითაა სპეციალიზებული. თბილისში საშუალო ბიზნესებს, მიკროსაფინანსო ინსტიტუტებსა და მსხვილ ბიზნესებს კონკრეტულ სფეროში სპეციალიზებული მოსამართლეებისა და კომერციული პალატის არსებობით სარგებელი უნახავთ და 500 000 ლარის ღირებულების საქმეების სწრაფ გადაწყვეტასა და მოსამართლეთა მცირე ჯგუფის თანამიმდევრულობაზე მიუთითებენ. თუმცა, მიკროსაფინანსო ინსტიტუტის წარმომადგენლები მათ დავებთან დაკავშირებულ მუდმივ პრობლემაზე ამახვილებენ ყურადღებას, რაც განსახილველად მათი საქმეების მოსამართლეთა მცირე რაოდენობისთვის დაკისრებას გულისხმობს და რაც სასამართლო პროცესებს დროში ახანგრძლივებს. რესპონდენტთა ნაწილი უკმაყოფილოა მოსამართლეთა კვალიფიკაციითაც. ხაზი გაუსვეს მოსამართლეთა ხშირ როტაციას, რაც, მათი აზრით, კონკრეტულ სფეროში მოსამართლეების კვალიფიკაციის ამაღლების შანსებს ამცირებს.

სასამართლო სისტემაში ბიზნესის შეხედულებებისა და გამოცდილებების შესწავლის გარდა, კვლევისთვის საინტერესო იყო სასამართლოებში კორუფციის საკითხების აღქმა. მცირე და საშუალო ბიზნესები, რომლებიც თბილისს გარეთ ოპერირებენ და ასევე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სასამართლოებში კორუფციის შესახებ არ საუბრობენ. თუმცა, თბილისის ზოგიერთმა მსხვილმა ბიზნესმა სასამართლოებში გავლენების არსებობის შესახებ ისაუბრა; კონკრეტულად კი, რესპონდენტებმა სასამართლოებში კლანის არსებობასა და ბიზნეს წრეებთან მის კავშირებზე გაამახვილეს ყურადღება. ისინი თვლიან, რომ თუ დიდი კომერციული საქმე ძალიან მოკლე დროში გადაწყდა, ეს ან კორუფციის, ან დამოუკიდებლობის ნაკლებობის მაჩვენებელია.

ბიზნესის წარმომადგენლების შეხედულებები თითქმის თანაბრად იყოფა, როდესაც მსჯელობენ იმაზე, თუ რამდენად დადებითი ან უარყოფითი გავლენა აქვს სასამართლოებში არსებულ ვითარებას საქართველოს ეკონომიკაზე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და ადგილობრივი ბიზნეს საქმიანობის გაფართოებაზე. სასამართლო სისტემის ზოგადი დადებითი შეფასებებისგან განსხვავებით, ეკონომიკასა და ბიზნესზე სასამართლოებში არსებული მდგომარეობის გავლენის შეფასებისას რესპონდენტები უფრო კრიტიკულ შეხედულებებს გამოთქვამენ. ამ მიმართულებით თვალსაჩინოა განსხვავება გამოკითხვისა და თვისებრივი კვლევის რესპონდენტების მოსაზრებებს შორის. სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების თითქმის ყველა მონაწილე თვლის, რომ სასამართლოს ამჟამინდელ მდგომარეობას ქვეყნის ეკონომიკასა და ბიზნესის განვითარებაზე უარყოფითი გავლენა აქვს. მათი აზრით, ეს განსაკუთრებით უარყოფით გავლენას საინვესტიციო კლიმატზე ახდენს. ზოგიერთი იურისტი და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ბევრ ინვესტორს, რომელიც კონტრაქტებში ქართულ სასამართლოებს უთითებს, კარგად ესმის ან თავად აქვს გამოცდილი, რომ მათ მიერ საქართველოში ჩადებული ფული ყოველთვის დაცული არ არის.

ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენელი დეტალურად განმარტავს, თუ როგორ მოქმედებს საკრედიტო დავებში სასამართლოს დაგვიანებული და არაეფექტური გადაწყვეტილებები საქართველოში სესხების საპროცენტო განაკვეთებზე. რესპონდენტის განმარტებით, ფინანსურ ინსტიტუტებს უწევთ, გაითვალისწინონ მოვალეების მიერ გადაუხდელობის და ამის შედეგად, გახანგრძლივებულ სასამართლო პროცესებში ჩართვის რისკები, რის გამოც ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთები უფრო მაღალია.

თბილისის გარეთ მყოფი მცირე ბიზნესები აღნიშნავენ, რომ ხანგრძლივი და დაგვიანებული პროცესების გამო, მსხვილი ბიზნესები უპირატეს მდგომარეობაში იმყოფებიან, მცირე ბიზნესები კი ზარალდება.

ბიზნესების მხოლოდ 8%-ს აქვს სასამართლო გამოცდილება ბოლო ხუთი წლის მანძილზე. მცირე ბიზნესებთან შედარებით, საშუალო და მსხვილი ბიზნესების უფრო დიდ წილს აქვს სასამართლო გამოცდილება. აქვე აღსანიშნავია, რომ თვისებრივი კვლევისთვის თბილისს გარეთ სასამართლო გამოცდილების მქონე მცირე და საშუალო ბიზნესების მოძიება თითქმის შეუძლებელი იყო. სასამართლო გამოცდილების მქონე ბიზნესების მესამედის განცხადებით, მათი საქმეები ჯერ კიდევ მიმდინარეა. ორმოცი პროცენტის თქმით, საქმე მათ სასარგებლოდ გადაწყდა. სასამართლო გამოცდილების

მქონე ბიზნესების დაახლოებით მესამედი ამბობს, რომ მათი საქმე წელიწადზე მეტხანს გრძელებოდა.

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს ეკითხებოდნენ, თუ რა შემთხვევაში მიმართავდნენ სასამართლოს. ყველაზე ხშირად საგადასახადო დავების შემთხვევა დასახელდა. რესპონდენტების დაახლოებით მესამედმა ასევე დაასახელა კონტრაქტის პირობების დარღვევა და სესხის/თანხის ამოღების შემთხვევა.

ბიზნესების მხოლოდ 5% აცხადებს, რომ ჰქონია სასამართლოსთვის მიმართვის საჭიროება, მაგრამ არ მიუმართავს. მიზეზად კი ძირითადად სასამართლო პროცესების ხანგრძლივობა, მაღალი სასამართლო ბაჟი და სასამართლო გადაწყვეტილების არაეფექტური აღსრულება სახელდება. სასამართლოში საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები განსაკუთრებით პრობლემურია მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, რომლებიც თბილისს გარეთ ოპერირებს. ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ სასამართლოსთვის არ მიუმართავთ, რადგან ჩათვალეს, რომ საქმის მოგების შანსი არ ჰქონდათ, განსაკუთრებით სახელმწიფო ორგანოების ან მსხვილი ბიზნესის წინააღმდეგ დავაში.

რაც შეეხება კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენას სასამართლო გამოცდილებაზე, მსხვილი ბიზნესები, მიკროსაფინანსო ინსტიტუტები და იურიდიული ფირმები დადებითად საუბრობენ ონლაინ სასამართლო პროცესებზე. თუმცა, თვლიან, რომ პანდემიამ სასამართლო პროცესების ვადები გააუარესა. გარდა ამისა, მიკროსაფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლები ამბობენ, რომ პანდემიამ იძულებითი აღსრულების პროცესებზეც იქონია გავლენა, ვინაიდან იძულებითი აღსრულების პროფესიონალებს ქონების შესაფასებლად საკუთრებაში შესვლის უფლება არ ეძლეოდათ.

ბიზნესის მხოლოდ მეათედი ფიქრობს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება დროულად ხდება. ბიზნესების ნახევარს არასოდეს ჰქონია შეხება აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან, ხოლო მათ უმეტესობას არასდროს ჰქონია შეხება კერძო აღმასრულებელ ინსტიტუტებთან.

მსხვილი ბიზნესი, იურისტები და მიკროსაფინანსო ინსტიტუტები აღსრულების მნიშვნელოვან შეფერხებებზე საუბრობენ. ზოგიერთი მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ აღსრულება განსაკუთრებით პრობლემურია თბილისის ფარგლებს გარეთ, რადგან ადგილობრივი აღმასრულებელები მოსახლეობას ვიზიტის შესახებ წინასწარ აფრთხილებენ. შედეგად, ადამიანები ღირებულ ნივთებს მალავენ. ამის გამო ძირითადად კერძო აღმასრულებელი ფირმების მომსახურებას იყენებენ. კერძო აღმასრულებელ კომპანიას მიმართავენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, რადგან აღსრულების ეროვნული ბიურო ხშირად რამდენიმე თვის დაგვიანებით მოქმედებს.

ზოგიერთი მსხვილი და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი ამბობს, რომ სასამართლო საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების განჩინებას არ ადგენს. ზოგჯერ კი განჩინების გამოცემას დადგენილ 24-საათიან ვადაზე მეტხანს ანდომებს. მცირე და საშუალო ბიზნესები, რომლებიც თბილისის გარეთ ოპერირებენ, საბანკო ანგარიშების დაყადაღებას

უსამართლოდ მიიჩნევენ, რადგან ეს მათ იმ ფულის გამომუშავების საშუალებას ართმევს, რომელიც ვალის ან ჯარიმის გადასახდელადაა საჭირო.

ერთ-ერთი მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი მოძრავი ქონების დაყადაღებასთან დაკავშირებულ პრობლემაზე საუბრობს, რომლის განხორციელებაც მოძრავი ქონების ნუსხის წარდგენის გარეშე შეუძლებელია. მსგავსი სიის მიღება კი ძნელია, რადგან იმ პირის თანხმობას მოითხოვს, ვისი ქონების დაყადაღებაც განიხილება. შესაბამისად, ბიზნესი თვლის, რომ მოძრავი ქონების უზრუნველყოფის მოთხოვნა აზრს მოკლებულია.

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს სთხოვდნენ, შეეფასებინათ დავის ისეთი ალტერნატიული მექანიზმების მუშაობა, როგორიცაა: არბიტრაჟი და სასამართლო მედიაცია. ბიზნესების უმრავლესობას ინფორმაცია ამ მექანიზმების შესახებ არ აქვს. საინტერესოა, რომ მცირე და მსხვილი ბიზნესების უფრო დიდ წილს არ აქვს ინფორმაცია ალტერნატიული მექანიზმების შესახებ, ვიდრე საშუალო ბიზნესს. შესაბამისად, ბიზნესების უმეტესობამ არბიტრაჟისა და სასამართლო მედიაციისადმი ნდობის შეფასება ვერ შეძლო. ბიზნესების დაახლოებით მეხუთედი კი არბიტრაჟის ინსტიტუტისა და სასამართლო მედიაციისადმი ნდობას გამოხატავს.

თბილისის ფარგლებს გარეთ მყოფი ბიზნესების უმეტესობას არბიტრაჟისა და მედიაციის შესახებ არ სმენია. მსხვილი და საშუალო ბიზნესების წარმომადგენლები და იურისტები თბილისიდან უფრო უარყოფითად აფასებენ აღნიშნულ მექანიზმებს, რადგან არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება სააპელაციო სასამართლოსთანაა მიბმული, რაც საბოლოო ჯამში პროცესს ახანგრძლივებს. რესპონდენტების თქმით, ზოგჯერ არბიტრაჟის მიერ ათ დღეში გამოტანილი გადაწყვეტილება შესაძლოა, სააპელაციო სასამართლომ რამდენიმე წლით გადადოს.

ზოგიერთი მსხვილი ბიზნესი არბიტრაჟის ინსტიტუტს არ ენდობა და ფიქრობს, რომ მიკერძოებულია იმ კომპანიისადმი, რომელიც მას ფლობს; მიუთითებენ, რომ ერთ-ერთი საარბიტრაჟო ფირმა ერთ-ერთ ბანკს ეკუთვნის.

მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები ამბობენ, რომ არბიტრაჟისთვის მიმართვა არ არის ეფექტური მაშინ, როდესაც პრაქტიკის შეცვლის აუცილებლობა არსებობს, რაც არც თუ ისე იშვიათი მოვლენაა, ვინაიდან საქართველოს სასამართლო სისტემაში ბევრი გაურკვევლობაა.

იურიდიული ფირმები საარბიტრაჟო დაწესებულებების მიმართ დადებით განწყობებს გამოხატავენ. მათი აზრით, არბიტრაჟი დროს ზოგავს (სააპელაციო სასამართლოს ჩართულობის შემთხვევაშიც კი). მათ ასევე მიაჩნიათ, რომ არბიტრაჟს უფრო კვალიფიციური პროფესიონალები ჰყავს, ვიდრე სასამართლოებს, სადაც „ღმერთმა იცის რომელ მოსამართლესთან“ მოხვდება საქმე.

რაც შეეხება მედიაციას, მსხვილი და საშუალო ბიზნესებისა და ასევე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლების უმეტესობა ამბობს, რომ ისინი სასამართლოსთვის

მიმართვამდე შესაძლო მოლაპარაკებისა და შეთანხმების ყველა გზას იყენებენ, რაც თავისი შინაარსით, მედიაციის ელემენტების გამოყენებასაც გულისხმობს. შესაბამისად, დამატებით მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის არჩევის აზრს ვერ ხედავენ.

შესავალი

2021 წლის მაისი-ივლისის პერიოდში CRRC-საქართველომ სასამართლო სისტემაზე ბიზნესების შეხედულებების შესახებ კვლევა ჩაატარა. კვლევა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG) და ეკონომიკური მმართველობის პროგრამების მხარდაჭერით განხორციელდა.

კვლევის მიზანს საქართველოში სასამართლო სისტემის მიმართ ბიზნესის დამოკიდებულების შესწავლა წარმოადგენდა, ასევე, ბოლო ხუთი წლის მანძილზე მათი სასამართლო გამოცდილებებისა და იმ სირთულეების შესწავლა, რომელსაც შესაძლოა, ბიზნესი მართლმსაჯულების სისტემაში ამჟამად არსებული მდგომარეობის გამო აწყდებოდეს.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების შესასწავლად, CRRC-საქართველომ კვლევის შერეულ მეთოდებს მიმართა, რომელიც ბიზნესების გამოკითხვის, მსხვილ ბიზნესებთან და საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციასთან სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარებას და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან ფოკუს ჯგუფების ჩატარებას გულისხმობდა თბილისში, აჭარაში, სამეგრელოსა და აღმოსავლეთ საქართველოში. რაც შეეხება მიკროსაფინანსო ინსტიტუტებს, ცალკე ჯგუფად გამოიყო, რადგანაც სასამართლო საქმეების დიდი რაოდენობა სწორედ სესხებს უკავშირდება, რაც საბოლოო ჯამში სასამართლოს გადატვირთულობას უწყობს ხელს.[2]

კვლევის ანგარიში შემდეგნაირადაა ორგანიზებული. მომდევნო სექცია კვლევის შედეგებს წარმოადგენს, რომელიც მოიცავს შემდეგ თავებს:

(1) სასამართლო სისტემის ზოგადი შეფასება, მათ შორის შეხედულებები მოსამართლეთა დამოუკიდებლობის საკითხებზე, კომპეტენციასა და სამართლიანობაზე. გამოწვევები, რომელსაც ბიზნესი სასამართლო სისტემაში ხვდება; ბიზნესის შეფასება მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის შესახებ და სასამართლოებში კორუფციის აღქმა;
(2) სასამართლო სისტემის ამჟამინდელი მდგომარეობის გავლენა ქვეყნის ეკონომიკასა და ბიზნესის განვითარებაზე;
(3) ბიზნესის სასამართლო გამოცდილება, სასამართლოსთვის მიმართვიანობა და მიზეზები, რის გამოც სასამართლოს არ მიმართავენ; კოვიდ-19-ის გავლენა ბიზნესის სასამართლო გამოცდილებაზე;

[2] სასამართლოს სტატისტიკის მიხედვით, 2020 წელს როგორც დასრულებული საქმეების (11, 520), ისე საანგარიშო პერიოდში დაუსრულებელი საქმეების (თითქმის 20 000 საქმე) ყველაზე დიდი წილი სესხთან დაკავშირებული დავებზე მოდიოდა. წყარო: https://tcc.court.ge/ka/Statistics

(4) სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება და შეხედულებები ყადაღის ეფექტურობის შესახებ;
(5) დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების, მათ შორის არბიტრაჟისა და მედიაციის მიმართ დამოკიდებულება და გამოცდილება.

კვლევის ანგარიში სრულდება დასკვნით, რასაც მოჰყვება სამი დანართი: (1) კვლევის მეთოდოლოგიის დეტალური აღწერა; (2) გამოკითხვის სიხშირეებისა და კროსტაბულაციის ცხრილები, და (3) ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტთა მახასიათებლები.

ძირითადი მიგნებები

მოცემულ სექციაში წარმოდგენილია კვლევის შედეგები. მიმდინარე თავში თითოეული სექცია ძირითადი მიგნებებით იწყება და შემდეგ, მონაცემებს დეტალურად აღწერს. თავი ისეა ორგანიზებული, როგორც წინა ნაწილის ბოლო აბზაცშია აღწერილი.

სასამართლო სისტემის ზოგადი შეფასებები და ბიზნესის წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევები

სასამართლოს მუშაობის, დამოუკიდებლობის, კომპეტენციისა და მოსამართლეთა სამართლიანობის შეფასება

- საერთო ჯამში, ბიზნესმა სასამართლო სისტემის მიმართ დადებითი დამოკიდებულება გამოავლინა. მნიშვნელოვანი ნაწილი, თუმცა არა უმრავლესობა (43%), სასამართლოს მუშაობას საშუალოდ აფასებს. უფრო მეტი ბიზნესის წარმომადგენელი ფიქრობს, რომ სასამართლო კარგად მუშაობს, ვიდრე ფიქრობს, რომ ცუდად მუშაობს;
- ბიზნესის წარმომადგენლების ნახევარზე მეტი (56%) საქართველოს სასამართლოებს ნაწილობრივ ენდობა, ხოლო 17% მათ სრულ ნდობას უცხადებს. მსგავსი სურათია მოსამართლეთა კომპეტენციისა და დამოუკიდებლობის შეფასების თვალსაზრისითაც. უმრავლესობა დადებით შეფასებებს ირჩევს, თუმცა, არ ფიქრობს, რომ მოსამართლეები ძალიან კომპეტენტურები ან სრულად დამოუკიდებლები არიან;
- ამის საპირისპიროდ, თვისებრივ კვლევაში ცოტა იყო ისეთი რესპონდენტი, რომელსაც მოსამართლეების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული საკითხები პრობლემად არ მიაჩნდა. რესპონდენტები უფრო კრიტიკულები იყვნენ და ნაკლებად ფიქრობდნენ, რომ მოსამართლეები დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს იღებენ. თბილისს გარეთ მყოფ მცირე და საშუალო ბიზნესებს სასამართლო გამოცდილება იშვიათად აქვთ, თუმცა მათი აღქმითაც, სასამართლო ყოველთვის დამოუკიდებელი არ არის;
- გამოკითხვისას რესპონდენტები ხშირად ამბობდნენ, რომ მოსამართლეები მმართველ პარტიაზე არიან დამოკიდებული. მომდევნო ყველაზე ხშირად დასახელებულ პასუხს შორისაა დამოკიდებულება აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სასამართლო სისტემაში არსებულ კლანზე. სიღრმისეული ინტერვიუების დროს, მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები აქცენტს ძირითადად კლანზე აკეთებდნენ, რომლის გავლენებიც, მათი აზრით, მოსამართლეებისთვის კომფორტის ზონის შექმნის შედეგად იზრდება. ისინი კი, თავის მხრივ, პროფესიული ეთიკის უგულებელყოფის ხარჯზე ამჯობინებენ, მათ ინტერესებს ემსახურონ;
- თვისებრივი კვლევის შედეგების მიხედვით, ბიზნესები თვლიან, რომ მოსამართლეები საკუთარი კოლეგების, მეზობლებისა და/ან ნათესავების ინტერესებს ითვალისწინებენ. რესპონდენტებმა მსგავსად აღქმული შემთხვევების რამდენიმე მაგალითიც მოიყვანეს;
- მოსამართლეების კომპეტენციის შეფასებისას, მსხვილი და საშუალო ბიზნესების წარმომადგენლები და ასევე იურისტები მოსამართლეებს შორის კომერციული

დავების წარმოების კომპეტენციის ნაკლებობაზე საუბრობენ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წარმომადგენლები კომპეტენციის ნაკლებობაზე არ მიუთითებენ და აღნიშნავენ, რომ მათი დავები ერთმანეთის მსგავსი და მარტივი გადასაწყვეტია;

- რაც შეეხება სამართლიანობის საკითხებს, მსხვილი და საშუალო ბიზნესების წარმომადგენლები და იურისტები თბილისში მიიჩნევენ, რომ შრომითი დავები განსაკუთრებით პრობლემურია. მათი თქმით, ხშირად მოსამართლეები თავიანთ უფლებამოსილებას ამეტებენ და „სუსტის“ - დასაქმებულთა მხარეს იჭერენ. ამის მსგავსად, როცა მსხვილი ბიზნესი წარმოადგენს მხარეს, მოსამართლეები, როგორც ერთმა რესპონდენტმა განმარტა, „არაადეკვატურსა და არადასაბუთებად სოციალიზმს“ მიმართავენ, რაც იმას გულისხმობს, რომ მოსამართლეები მეორე მხარის უფლებების „გაუმართლებლად მაღალი დონით“ დაცვას ცდილობენ, რის გამოც პროცედურულ პრინციპებს არღვევენ.

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ ბიზნესის დამოკიდებულება მართლმსაჯულების სისტემის მიმართ დადებითია. ბიზნესების მნიშვნელოვანი ნაწილი, თუმცა, არა უმრავლესობა (43%), საქართველოს სასამართლოების მუშაობას საშუალოდ აფასებს. ბიზნესის წარმომადგენლების დაახლოებით მეათედი (11%) სასამართლოების მუშაობას უარყოფითად (ცუდად ან ძალიან ცუდად) აფასებს, ხოლო თითქმის მეოთხედს (26%) დადებითი შეფასებები (კარგი ან ძალიან კარგი) აქვს (იხ. დიაგრამა 1). იმ ბიზნესის წარმომადგენელთა 36%, ვისაც ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება ჰქონია, სასამართლოს მუშაობას საშუალოდ აფასებს. იმავეს აცხადებს მათი მნიშვნელოვანი ნაწილი (44%), ვისაც სასამართლო გამოცდილება არ ჰქონია. აღსანიშნავია, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება ბიზნესების მხოლოდ 8%-ს ჰქონია, შესაბამისად, ამ ჯგუფების შედარება სიფრთხილით უნდა მოხდეს.

დიაგრამა 1: სასამართლოს მუშაობის შეფასება



ბიზნესი სასამართლოებს ნდობას უცხადებს. ბიზნესის წარმომადგენლების ნახევარზე მეტი (56%) ამბობს, რომ სასამართლოებს ნაწილობრივ ენდობა. საინტერესოა, რომ მსხვილი (64%) და მცირე (56%) ბიზნესების უმრავლესობა ამბობს, რომ სასამართლოს ენდობა, ხოლო საშუალო ბიზნესის უფრო მცირე წილი (48%) აცხადებს იმავეს (იხ. დიაგრამა 2). სასამართლო გამოცდილების მქონე ბიზნესების დიდი ნაწილი, თუმცა არა უმრავლესობა, აცხადებს, რომ სასამართლოებს ნაწილობრივ ენდობა (45%) მაშინ, როცა იმ ბიზნესის წარმომადგენლების უმრავლესობა, ვისაც ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება არ ჰქონია, იმავეს ამბობს (57%).

დიაგრამა 2: საქართველოს სასამართლოების მიმართ ნდობა



კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს მოსამართლეთა კომპეტენციის შეფასებასაც სთხოვდნენ. ბიზნესის წარმომადგენლების დაახლოებით ნახევარი (51%) მოსამართლეებს ნაწილობრივ კომპეტენტურად მიიჩნევს. 12% ფიქრობს, რომ მოსამართლეები ძალიან კომპეტენტურები არიან. ბიზნესის წარმომადგენლების მხოლოდ 8% ფიქრობს, რომ მოსამართლეები - ნაწილობრივ არაკომპეტენტურები, ხოლო 4%-ის აზრით, სრულიად არაკომპეტენტურები არიან. შეფასებების დროს განსხვავება ბიზნესის ზომის მიხედვით თითქმის არ გამოვლენილა. მცირე (51%), და საშუალო (54%) ბიზნესის დაახლოებით ნახევარი აცხადებს, რომ მოსამართლეები ნაწილობრივ კომპეტენტურები არიან. იმავე მოსაზრებას იზიარებს მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლების უმრავლესობა (57%). გარდა ამისა, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილების მქონე ბიზნესების უმეტესობა (62%) ფიქრობს, რომ მოსამართლეები ნაწილობრივ კომპეტენტურები არიან; ხოლო სასამართლო გამოცდილების არმქონე ბიზნესების დაახლოებით ნახევარი (51%) იზიარებს იმავე მოსაზრებას (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3: მოსამართლეთა კომპეტენციის აღქმა



ბიზნესების 43% საქართველოში მოსამართლეებს ნაწილობრივ დამოუკიდებლად მიიჩნევს. მსხვილი ბიზნესის ნახევარზე მეტი (53%) ეთანხმება ამ მოსაზრებას, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესის ნახევარზე ნაკლები, თუმცა, მაინც მნიშვნელოვანი ნაწილი აცხადებს იმავეს (42% და 46%, შესაბამისად) (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 4: მოსამართლეთა დამოუკიდებლობის აღქმა



რაც შეეხება სასამართლო გამოცდილების მქონე ბიზნესებს, 5% ამბობს, რომ მოსამართლეები საქართველოში ნაწილობრივ დამოუკიდებლები არიან, ხოლო სასამართლო გამოცდილების არმქონე ბიზნესების ნახევარზე ნაკლები (42%) აცხადებს იმავეს.

ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მოსამართლეები სრულიად დამოკიდებულები, ნაწილობრივ დამოკიდებულები ან ნაწილობრივ დამოუკიდებლები არიან, ყველაზე ხშირად ფიქრობენ, რომ მოსამართლეები მმართველ პარტიაზე არიან დამოკიდებული (59%). ასევე, მათგან ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ მოსამართლეები სრულად ან ნაწილობრივ არიან დამოკიდებული აღმასრულებელ ხელისუფლებაზე (56%). დაახლოებით ნახევარი ამბობს, რომ მოსამართლეები დამოკიდებულნი არიან სასამართლო კლანზე (49%). მათგან ნახევარზე ნაკლებს კი სჯერა, რომ მოსამართლეები სრულად ან ნაწილობრივ დამოკიდებული არიან იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე (45%) ან მსხვილ ბიზნესებზე (39%). ბიზნესის წარმომადგენლების დაახლოებით მეხუთედი მიიჩნევს, რომ მოსამართლეები დამოკიდებულნი არიან ოპოზიციაზე (19%) (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 5: მოსამართლეების დამოკიდებულება სხვადასხვა აქტორზე



სიღრმისეულ ინტერვიუებსა და ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ბიზნესების, იურიდიული ფირმებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა საქართველოში სასამართლო სისტემის მუშაობაზე უფრო დეტალურად იმსჯელეს და შეხედულებები გამოთქვეს საქართველოს სასამართლოების დამოუკიდებლობის, კომპეტენციისა და სამართლიანობის შესახებ.

დამოუკიდებლობა

მოსამართლეების დამოუკიდებლობის შესახებ საუბრისას, იურისტები და საშუალო ბიზნესების წარმომადგენლები თბილისში ამბობენ, რომ მათ არ შეუძლიათ, რომელიმე მოსამართლეზე თქვან, რომ დამოუკიდებელი არ არის. თუმცა, კონკრეტულ შემთხვევებში, მათი აზრით, სასამართლო გადაწყვეტილება „იმდენად დაუსაბუთებელი, იმდენად არაკომპეტენტურია“, რომ ხშირად უფიქრიათ, „მოსამართლე, მისი ამ გადაწყვეტილების გამოტანის დროს, არ იყო დამოუკიდებელი, შეიძლება მოსამართლეს ჰქონდა რაღაცა მითითება, ზემოდან“ (საშუალო ბიზნესი, თბილისში გერმანული კომპანიის წარმომადგენელი, ოპერირებს საქართველოში, სასამართლო გამოცდილებით ბოლო ხუთი წლის მანძილზე). მიკროსაფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლები მათ დავებში სასამართლოს დამოუკიდებლობასთან ან სამართლიანობასთან დაკავშირებით პრობლემას ვერ ხედავენ. იურისტებისა და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლების მცირე ნაწილი ამბობს, რომ არასდროს უნახავს ისეთი გადაწყვეტილება, რომ მოსამართლის

დამოუკიდებლობაში ეჭვი შეეტანათ. დანარჩენებმა კი მოსამართლეთა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით ეჭვები გამოთქვეს.

ამ თემებზე საუბრისას, ერთ-ერთმა იურისტმა საქართველოში 70 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების, დიდი ქონების ექსპროპრიაციის საქმე მოიყვანა მაგალითად. რესპონდენტის თანახმად, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს მესაკუთრეს მიწის ნაკვეთი ჩამოართვეს. დაახლოებით ათი წლის შემდეგ კი, როდესაც ახალი მთავრობა მოვიდა ხელისუფლებაში, იურიდიულმა ფირმამ სარჩელი შეიტანა 22 აქციონერისთვის ქონების დაბრუნების მოთხოვნით. სარჩელი ეკონომიკის სამინისტროს წინააღმდეგ იყო, ვინაიდან ქონებაზე ყადაღის დადებას ეხებოდა, ეკონომიკის სამინისტროში 22-ვე მეწილე ერთსა და იმავე დღეს მივიდა და ქონება სახელმწიფოს „ნებაყოფლობით“ გადასცა. რესპონდენტის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ აქციონერებზე ზეწოლის დამტკიცება რთული აღმოჩნდა, საქმე ნათელი იყო. დავა ცხრა წელს გაგრძელდა ყოველგვარი შედეგის გარეშე, ამჟამად კი საქმე უზენაეს სასამართლოში განიხილება. ადვოკატის თქმით, „ამასობაში, ოთხი აქციონერი გარდაიცვალა, ამ ცხრა წელიწადში, რომლებიც ვერასოდეს თავის სამართალს ვერ იპოვიან“. ადვოკატის თქმით, ეს არის სასამართლო სისტემაში სახელმწიფოს ჩარევის მაგალითი.

მსხვილი ბიზნესის ზოგიერთ წარმომადგენელს ასევე ეჭვი შეაქვს მოსამართლეთა დამოუკიდებლობაში. მსხვილი ბიზნესის - საბანკო სექტორის წარმომადგენელმა, რომელიც ასევე ყოფილი მოსამართლე იყო, სასამართლო სისტემაში გავლენიან კლანზე ისაუბრა. მისი განმარტებით, მოსამართლე კლანის „მორჩილებაში“ ძალდატანებით არ არის, თუმცა, უზრუნველყოფილია შეღავათებითა და ხელფასზე დანამატებით - „არავინ არ გადგება ეხლა კაბინეტში და გინდა თუ არა ეს გააკეთეო, არ გეუბნებიან. სისტემა მუშაობს ესე... გინდა კომფორტის ზონაში ყოფნა? კი, მაშინ თმობ პრინციპებს“ (მსხვილი ბიზნესი, საბანკო სექტორი, ოპერირებს საქართველოში).

დამოუკიდებლობის თემებზე საუბრისას, კიდევ ერთი საკითხი მოსამართლეების მიერ თავიანთი კოლეგების, მეზობლებისა და/ან ნათესავების ინტერესების გათვალიწინებას შეეხებოდა. მსხვილი ბიზნესის ერთ-ერთი წარმომადგენელი აღწერს შემთხვევას, როდესაც მოსამართლის რძალი მუშაობდა ბანკში, რომელიც საქმეში მხარეს წარმოადგენდა, და მოსამართლის აზრით, არ იღებდა საკმარის ხელფასს. ამ შემთხვევაში, მოსამართლემ შეამცირა ბანკის ის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მოვალეს უნდა გადაეხადა. რესპონდენტის განცხადებით, მოსამართლეს არ დაუმალავს, რომ ბანკის დაზიანება სურდა - „რაც შემიძლია, ეს მაინც უნდა გატკინოთ“.

კიდევ ერთი მაგალითი ფარმაცევტულ კომპანიას შეეხებოდა. მსხვილი ბიზნესის ერთ-ერთი წარმომადგენელი აღწერს, თუ როგორ დაიწყო ერთ-ერთმა მოსამართლემ საქმის განხილვა იმის ხსენებით, რომ მას ამ ფარმაცევტული კომპანიის თანამშრომელთან ცუდი გამოცდილება ჰქონია. რესპონდენტის აზრით, ამ ფაქტმა მოსამართლის სუბიექტური გადაწყვეტილება განაპირობა.

თბილისის ფარგლებს გარეთ მყოფი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებსაც სასამართლო გამოცდილება არ აქვთ და რომელთა შეხედულებები ზოგად საჯარო ინფორმაციულ წყაროებს ეყრდნობა, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ნაკლებობაზე საუბრობენ. აჭარაში ინდივიდუალური მეწარმის თქმით, რომელსაც სასამართლო გამოცდილება ჰქონდა, ცხადი იყო, რომ მის სასამართლო საქმეში ბრალდებულებს დამცველები ჰყავდათ. შედეგად, სასამართლო ვერაფერს გახდა. რესპონდენტის თქმით, „ახლა ჩემი პრობლემიდან გამომდინარე, ვიცი ნამდვილად, რომ ეს ადამიანი, ვინც ჩვენი მილიონობით თანხა მიითვისა, არის ისეთი ადამიანი, ვისაც ჰყავს, რომ ვთქვათ ჟარგონულად, „კრიშა“. ამიტომ ვერაფერს ვერ შვება სასამართლო... იმიტომ, რომ ზევიდან მოდის მაგისი დაცვა და გამოდის ძალიან დიდი უსამართლობა... და დამოუკიდებელი რომ არ არის სასამართლო“ (ინდივიდუალური მეწარმე, ჰოლანდიური ყვავილების მიწოდება, ოპერირებს აჭარასა და გურიაში, სასამართლო გამოცდილებით ბოლო ხუთი წლის მანძილზე).

აჭარაში მცირე ბიზნესის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ სასამართლოს მიერ საქმე სათანადოდ არ განიხილება, თუ ვინმე არ ეყოლებათ, „რომ დარეკოს და საქმე გააკეთოს“. რესპონდენტები სამეგრელოში, ასევე, ფიქრობენ, რომ მოსამართლეები სახელმწიფოს სასარგებლოდ მიკერძოებულები არიან. ერთ-ერთი მათგანის თქმით, „არ არის მეწარმე და ბიზნესი დაცული, როცა სასამართლოსთან არის შეხება, ასე მგონია, რომ სულ სახელმწიფოს მხარეზეა. მაინცდამაინც უნდა დაჯარიმდეს, ან გადაიხადოს და გადასახადი დაეწეროს ბიზნესს, ასეთი ტენდეციაა“ (მცირე ბიზნესი, ოპერირებს ზუგდიდში, სასამართლო გამოცდილების გარეშე ბოლო ხუთი წლის მანძილზე).

მიუხედავად ზემოთ განხილული მაგალითებისა, მცირე და საშუალო ბიზნესები აჭარაში, სამეგრელოსა და აღმოსავლეთ საქართველოში საუბრობენ ისეთი შემთხვევის შესახებაც, სადაც თავად ან მათი მეგობრების საქმეები სრულიად სამართლიანად, კომპეტენტურად და საკმაოდ დამოუკიდებელად განიხილეს. „საბოლოო ჯამში ვერ ვიტყვი, რომ არაკომპეტენტური და არასამართლიანი გადაწყვეტილება მიიღეს... ვიღაცას რაღაცა ზეწოლა მოეხდინა, ასეთი რაღაცა ჩვენ არ გვიგრძვნია, პირიქით - დახმარება... დამოუკიდებლობის ხარისხი არ იყო დაბალი“ (საშუალო ბიზნესი, ოპერირებს ზუგდიდში, სასამართლო გამოცდილებით ბოლო ხუთი წლის მანძილზე).

კომპეტენცია

მიკროსაფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლები მოსამართლეთა კომპეტენციასთან დაკავშირებით კონკრეტულ სირთულეებზე არ საუბრობენ და აღნიშნავენ, რომ მათი დავები ჩვეულებრივ მარტივი განსახილველია ხოლმე - „ჩვენი კატეგორიის დავებზე ანუ სახელშეკრულებო დავებთან მიმართებაში არსებული მოსამართლეების გადაწყვეტილებებზე, ნამდვილად ვერ ვიტყვი აუგს ამდენი წლის მანძილზე... ტექნიკაც კი ვიცით უკვე ერთმანეთის მუშაობის, იმდენად ხშირი კომუნიკაცია გვაქვს და კომპეტენციის ნაწილს ნამდვილად ვერავის ვერ დავუწუნებ“ (მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ოპერირებს საქართველოში).

ამის საპირისპიროდ, მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები და თბილისში საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები თვლიან, რომ მოსამართლეები ხშირად არაკვალიფიციურები არიან: „ხშირად ამ კომპეტენციის გამო ძალიან ცუდ დღეში არიან და არის შემთხვევები, რომ უბრალოდ სისულელეებს ამბობენ... ცხოვრებაში გარიგება არ უნახავთ, არ წაუკითხავთ, არც ტრანზაქციები, კორპორაციის შეხვედრა არ ჰქონიათ ბიზნესთან“ (იურიდიული ფირმა, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია).

მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი სამშენებლო სექტორიდან აღნიშნავს, რომ მისი სფერო საკმაოდ კომპლექსური და სპეციფიკურია, რაც მოსამართლეების საქმეს ართულებს. თუმცა, მოსამართლეებს აქვთ საშუალება და შესაბამისი პლატფორმა, რომ შეისწავლონ შემთხვევა, შეაგროვონ ინფორმაცია და გაეცნონ პროცესებიდან. რესპონდენტის განცხადებით: „ამის მიუხედავად, რომ მას აქვს ძალიან ფართო შესაძლებლობა, რომ კონკრეტული საქმის ჭრილშიც, თუნდაც დახვეწა მოახდინოს საკუთარი თავის, არის შემთხვევები, რომ... ზერელე დამოკიდებულებას გრძნობ“ (მსხვილი ბიზნესი, სამშენებლო სექტორი, ოპერირებს თბილისსა და ბათუმში).

სამართლიანობა

მაშინ, როცა მცირე ბიზნესის ზოგიერთი წარმომადგენელი მათ მიმართ დაწესებული ჯარიმებით კმაყოფილი არაა, ფოკუს ჯგუფის მონაწილეები თბილისში განსაკუთრებით პრობლემურად <u>შრომით დავებს</u> მიიჩნევენ. რესპონდენტების აზრით, სახელმწიფო ასეთ შემთხვევებში სახის შენარჩუნებას ცდილობს და მისი მიდგომა შრომითი დავების დასაქმებულების სასარგებლოდ გადაწყვეტას ითვალისწინებს. საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი აცხადებს: „არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, სამართლიანობის პრინციპი რომ განხორციელდეს, მაგრამ ეს უნდა ჯდებოდეს კანონის ჩარჩოებში“. მან პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში თავის გამოცდილებაზეც ისაუბრა, როდესაც სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც, მისი თქმით, აბსურდული იყო, რადგან სასამართლოს არ გააჩნდა უფლებამოსილება ჩარეულიყო მხარეთა შეთანხმებაში. შესაბამისად, რესპონდენტი თვლის, რომ მსგავსი ქმედება მოსამართლეების მხრიდან მხარეთა ნების ავტონომიურობაში ჩარევა იყო და ამის ახსნა, მხოლოდ სასამართლო პოლიტიკითაა შესაძლებელი: „თავი უნდათ მოგვაწონონ მოსამართლეებს, კონკრეტულ საჯარო მოხელეებს“ (საშუალო ბიზნესი, გერმანული კომპანიის წარმომადგენელი თბილისში, ოპერირებს საქართველოში, სასამართლო გამოცდილებით ბოლო ხუთი წლის მანძილზე). მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში მონაწილე მსხვილი და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ სასამართლოები ასე მუშაობს, საბანკო სექტორის ზოგიერთი მსხვილი ბიზნესმენი ამბობს, რომ სასამართლოებმა ბოლო წლებში გარკვეულწილად დააბალანსეს მათი მიდგომა შრომით დავების მიმართ.

თითქმის ყველა მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამენ „ძლიერის და სუსტის“ ბრძოლად მოსამართლეები იმ დავებს, სადაც მსხვილი ბიზნესია ჩართული. რესპონდენტები თვლიან, რომ მსგავსი მიდგომა მსხვილ კომპანიებს არახელსაყრელ პირობებში აყენებს მაშინაც კი, როცა სიმართლე მათ მხარესაა. მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ სასამართლოების მცდელობა,

„გაუმართლებლად მაღალი დონით“ დაიცვან მხარეები, არაერთი პროცედურული და სხვა სახის პრინციპების დარღვევას იწვევს. ამ მდგომარეობას აღწერენ, როგოც „არაადეკვატურსა და არადასაბუთებად სოციალიზმს“. მსხვილი ბიზნესის, საბანკო სექტორის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ადამიანების წარმოდგენა სასამართლო პროცესებისადმი ისეთია, რომ თუ ერთ მხარეს უცხოელი ინვესტორი წარმოადგენს, ხოლო მეორე მხარეს ინდივიდი, მცირე რესურსებით, მაშინ ფიქრობენ, რომ სასამართლო ინდივიდის მცირე რესურსებს მხედველობაში მიიღებს. მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლის განცხადებით: „საზოგადოებაში არის უკვე ეგ თემა, რომ ის რომ ინდოელია და იმას რო ბევრი ფული აქვს, ამიტომ შეიძლება სახლი წავართვათ იმიტომ, რომ მე ქართველი ვარ“ (მსხვილი ბიზნესი, საბანკო სექტორი, ოპერირებს საქართველოში).

გარდა ამისა, მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი, რომელიც საკვების წარმოებისა და გაყიდვების სექტორში მუშაობს, მიიჩნევს, რომ სასამართლო საქმეები, როცა ერთ მხარეს მსხვილი კომპანიაა, ხოლო მეორე მხარეს მცირე ბიზნესი ან ინდივიდუალური პირი დგას, პრობლემურია. მისი განმარტებით, სასამართლოს შეუძლია, პირდაპირ თქვას, რომ მსხვილ ბიზნესს და შესაბამისად, მსხვილი გადასახადის გადამხდელს მეტი ვალდებულება აქვს. მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი ფარმაცევტული სექტორიდან კი აცხადებს, რომ ხშირად უგრძვნიათ უარყოფითი დამოკიდებულება მოსამართლის მხრიდან. უგრძვნიათ, რომ მოსამართლეები მათ შერცხვენას ცდილობენ მათი კომპანიის ზომის გათვალისწინებით ადმინისტრაციულ ჯარიმებთან დაკავშირებული დავების წარმოებისთვის. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, დამოკიდებულება იყო შემდეგნაირი: „ამის გამო სასამართლოში როგორ წამოხვედი, რაღაც ეგეთი. [კომპანიის სახელი] რა არის 6 000 ლარი, რომ მიდიხარ სასამართლოში?... ადმინისტრაციულში ჯარიმებზე პირდაპირ ერთმა მოსამართლემ, შენ კი არა, პატარ-პატარა აფთიაქებს ვაჯარიმებო და [კომპანიის სახელი] როგორ არ დავაჯარიმოო. ჩვენ ვფიქრობთ, [დამოკიდებულება] ძალიან ნეგატიურია, ჩვენ ვართ მონსტრი კომპანია და არათანაბარ მდგომარეობაში ვამყოფებთ“ (მსხვილი ბიზნესი, ფარმაცევტული კომპანია, ოპერირებს თბილისში).

გამოწვევები, რომლებსაც ბიზნესი სასამართლო სისტემაში აწყდება

- ყველაზე ხშირად დასახელებული პრობლემა, რომელსაც ბიზნესი სასამართლო სისტემაში აწყდება, სასამართლო პროცესების გახანგრძლივებული ვადებია. სასამართლო პროცესების საშუალო ხანგრძლივობად სამ წელს ასახელებენ იმისთვის, რომ ერთმა საქმემ სასამართლოს სამივე ინსტანცია გაიაროს. გამონაკლისების შემთხვევაში კი პროცესები ოთხიდან ცხრა წელზე მეტხანსაც გრძელდება;
- დროსთან დაკავშირებული პრობლემები მართლმსაჯულების სისტემას ბიზნესისთვის არაეფექტურს ხდის, რადგან ისინი ხშირად კომპენსაციას ვერ იღებენ. რესპონდენტებმა ისაუბრეს შემთხვევებზეც, როცა სამართლიანობის მოლოდინში რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა, ან ვალუტის რყევებისა და დროთა განმავლობაში მონეტარული დევალვაციის გამო თანხა დაკარგა/წააგო;

- თვისებრივ კვლევაში მონაწილეები არამარტო პროცესების გადადებასა და დროში გახანგრძლივებას ასახელებენ გამოწვევად, არამედ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხებსაც. რაც თავის მხრივ ისეთ პრობლემებს იწვევს, როგორიცაა კომერციულ ერთეულებსა და ფიზიკურ პირებს შორის არაკეთილსინდისიერი ქცევის ჩამოყალიბება;
- მცირე და საშუალო ბიზნესების წარმომადგენლები ამბობენ, რომ სასამართლოებს ძალიან დიდი დრო სჭირდებათ მცირე დავალებების შესასრულებლად, როგორიცაა, მაგალითად, სასამართლო განაცხადზე პასუხის გაცემა, ფაილების ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა, ელექტრონულ სისტემაში წვდომისთვის მომხმარებლის საიდენტიფიკაციო სახელისა (ID) და პაროლის მიწოდება, რომლისთვისაც, რესპონდენტების განცხადებით, სასამართლოს რამდენიმე კვირა სჭირდება ხოლმე.
- მსხვილმა ბიზნესებმა ისაუბრეს სასამართლო გადაწყვეტილებების ან ბრძანების მიღების ერთ წელზე მეტხნიან დაგვიანებაზე, რომელსაც სასამართლო არა მიმდინარე, არამედ ძველი თარიღით აფორმებს. მსხვილი ბიზნესებისა და მიკროსაფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლები სასამართლოსთან კომუნიკაციის პრობლემებზეც ამახვილებენ ყურადღებას, განსაკუთრებით კი საქმის მიმდინარეობის შესახებ სიახლეების მიღებაზე, რომელიც პანდემიის პერიოდში კიდევ უფრო გამწვავდა;
- ბიზნესების წარმომადგენლები და იურისტები ჩივიან, რომ მოსამართლეებს ხშირად არ ესმით, თუ როგორ მუშაობს ბიზნესი და უგულებელყოფენ ბიზნესის ინტერესებს;
- თვისებრივი კვლევის მონაწილეებმა, ასევე, იმ გამოწვევების შესახებ იმსჯელეს, რასაც საქართველოს სასამართლო სისტემაში აწყდებიან და მათი გამომწვევი მიზეზები განიხილეს. მათი აზრით, სასამართლოში არსებული პრობლემების გამომწვევი მიზეზი სასამართლო სისტემის დახურულობა და მასთან ერთად, მოსამართლეებისთვის სოციალური გარანტიების ნაკლებობა და მათი ნაკლები ანგარიშვალდებულებაა.

გარდა ზოგადი დამოკიდებულებებისა და შეფასებებისა, კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს სთხოვდნენ, დაესახელებინათ ის გამოწვევები, რომლებსაც შესაძლოა, სასამართლო სისტემაში აწყდებოდნენ. ბიზნესის წარმომადგენლების 41%-მა ვერ შეძლო, დაესახელებინა რაიმე სირთულე. ყველაზე ხშირად დასახელებულ სირთულეებს შორისაა: დროში გაწელილი სასამართლო პროცესები (31%), დროში გაწელილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება (19%) და სასამართლოს მაღალი ბაჟი (13%). სხვა სახის დაბრკოლებები კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 6).

დიაგრამა 6: ბიზნესის გამოწვევები მართლმსაჯულების სფეროში საქართველოში



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის არჩევა შეეძლოთ. შესაბამისად, პროცენტები 100-ად არ ჯამდება.

თვისებრივ კვლევაში მონაწილე ყველა სახის ბიზნესი სასამართლო სისტემაში ბიზნესისთვის მთავარ გამოწვევად სასამართლო საქმეების განხილვის გახანგრძლივებულ ვადებსა და პროცესების გადადებას ასახელებს. მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები და იურისტები დროული პროცედურების მნიშვნელობას უსვამენ ხაზს და მოჰყავთ მაგალითები, თუ დროში გაწელილი და გადადებული პროცესები როგორ აზიანებს ბიზნესს და წარმოშობს არაკეთილსინდისიერ ქცევას.

ერთ-ერთი იურისტის აზრით, სიტუაციის საუკეთესო ილუსტრირება ლონდონის სავაჭრო ბირჟაზე ქართული კომპანიების ჩამონათვალის პროსპექტუსია, სადაც ერთ-ერთი თავი სამართლებრივ გაუგებრობებსა და რისკებს ეთმობა და რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს სასამართლოები რეფორმების პროცესშია და მოსამართლეების კვალიფიკაცია, განსაკუთრებით კორპორაციულ და კომერციულ დავებში, დაბალია. იურისტის განცხადებით: „ეს იარლიყი ქვეყანას აქვს ბიზნეს სექტორში და ამ სერვისების მიმართ ნდობა ძალიან დაბალია... ჩვენ ვერ ვუხსნით ჩვენს კლიენტებს, რატომ უნდა იყვნენ სასამართლოში ცხრა წელი... განცდა, რომ ბიზნესისთვის სასამართლო არის სერვისი, საერთოდ არ არსებობს“ (იურდიული ფირმა, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია).

მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები სასამართლო სისტემაში ყველაზე დიდ პრობლემად პროცესების გადადებას მიიჩნევენ. სასამართლო პროცესები წლების მანძილზე გრძელდება. სწრაფი მართლმსაჯულება გამოწვევაა, ვინაიდან დროსთან ერთად ბიზნესი ფულის ამოღების ინტერესს კარგავს, განსაკუთრებით მაშინ, როცა აღსრულებაც პრობლემური საკითხია. სასამართლო პროცესების დაყოვნება პრობლემურია მიკროსაფინანსო ინსტიტუტებისთვისაც, რადგან მათთვის ეს ნიშნავს, რომ გარკვეული თანხა „ფაქტიურად გაყინული არის და რესურს ვერ იყენებს კომპანია."

მსხვილი და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი იურისტები თბილისში ამბობენ, რომ სასამართლო საქმეს დასასრულებლად სამი წელი სჭირდება, რაც ყველა სასამართლო ინსტანციის გავლასაც მოიაზრებს. ზოგიერთი რესპონდენტის თანახმად კი უფრო დიდი დროა საჭირო. რამდენიმე რესპონდენტი აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების აღსრულებამ შესაძლოა, საქმე ერთი ან მეტი წლით გაახანგრძლივოს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შეფასებით, სასამართლოში საქმის წარმოებას საშუალოდ ექვსი თვიდან შვიდ წლამდე სჭირდება. მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი ხაზს უსვამს, რომ სასამართლო სისტემაში მთავარი გამოწვევა გადაწყვეტილების არაღსრულებაა. კიდევ ერთი გამოწვევა, რომელსაც მსხვილი ბიზნესის ერთ-ერთი წარმომადგენელი ასახელებს, გადაწყვეტილების ისეთი არაღსრულებაა, რომ ის უბრალოდ „ფურცელზე რჩება". იურისტის თქმით: „ეხლა ერთი დავა მიმდინარეობს, თან არაერთგვაროვანი პრაქტიკაა, არ ვიცი, აღარ მახსოვს უკვე რამდენი წელია. ახალგაზრდა ვიყავი მაშინ, მახსოვს, ხანდახან ვიცინით ხოლმე. ჩვენს თანამშრომელს მაშინ შვილი არ ჰყავდა, ახლა ორი შვილი ჰყავს და ერთი სკოლაში მიდის" (იურიდიული ფირმა, საქართველოს იურდიული ფირმების ასოციაცია).

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც გახანგრძლივებულ სასამართლო პროცესებს უკავშირდება, საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისა და თბილისში იურისტების თქმით, გაცვლითი კურსის ცვალებადობაა. მაშინაც კი, თუ დავა კომპანიის სასარგებლოდ დასრულდება, სადავო თანხას რამდენიმე წელიწადში მიიღებს, თანხის ღირებულება კი ამ დროს უფრო დაბალია. საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი იურისტები თბილისში დამატებით აღნიშნავენ, რომ განხილულ პრობლემებს კონტრაქტის დამრღვევთა შორის გაუფრთხილებელ დამოკიდებულებამდე მივყავართ: „უკვე ხელშეკრულების მხარეებს აღარ აქვთ აღარანაირი რიდი, სიფრთხილე ხელშეკრულების დარღვევის მიმართ. ანუ, ეს ხდება ნორმა, მისი ინტერესიც არის, რომ თქვენ შეიტანოთ საქმე, სარჩელი სასამართლოში და ის ამით ერთგვარ სიმშვიდეს მოიპოვებს და როდესაც გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო ამ საქმეზე, სამი, ოთხი, ხუთი წლის შემდეგ, ამ ფულს დროში ღირებულება აქვს, ხომ?! ჩემთვის ეს დანაკარგია, წაგებული მხარისათვის, მოპასუხისათვის კი შენაძენია ეს ღირებულება" (ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენელი).

იურისტებისა და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლების აზრით, დროში გაჭიანურებულ პროცესებს არაკეთილსინდისიერ ქცევამდე მივყავართ, რაც უკანონო ქმედებებში აისახება ხოლმე. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით: „იმდენად დასარეგულირებელია ეს მეწარმეთა შესახებ კანონი, იმდენად აღუსრულებელი ხდება მერე სასამართლოს

გადაწყვეტილებები, იმდენად არ არსებობს ბერკეტები, რომ არაკეთილსინდისიერ მეწარმეებს დაბრკოლება შევუქმნათ, ეს გარკვეულწილად წამახალისებელია ესეთი არაკეთილსინდისიერი პირებისთვის, თუნდაც იმიტომ, რომ ამ არარეგულირებადი კანონმდებლობით ისარგებლონ, მიიღონ პირადი სარგებელი და იციან, რომ ამის უკან მათ საწინააღმდეგოდ ვერ გატარდება ვერანაირი ღონისძიება“ (მსხვილი ბიზნესი, ფარმაცევტული კომპანია, ოპერირებს საქართველოში). მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლების თქმით, მათი მომხმარებლები სასამართლოში იმ მიზნით მიდიან, რომ დროში გაჭიანურებული პროცესებით დროის მოგება მოახერხონ. ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით: „როცა ვიღაც იურისტს რაღაცას დაეკითხება, ვინმე პრობლემური კლიენტი, მარტივად ეუბნებიან, რომ ნუ გეშინია, სასამართლოთი დროს წავიღებთო... ამ უარყოფით მხარეს იყენებენ არაკეთილსინდისიერი და მოუწესრიგებელი გადამხდელები. ამ კუთხით, ძალიან ცუდ გავლენას ახდენს დროში ძალიან გაჭიმული პროცესები ჩვენს ბიზნესზე“ (მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ოპერირებს საქართველოში). რესპონდენტების განმარტებით, თუ სასამართლოს მიერ საქმეები დროულად გადაიჭრება, მოვალეები ფინანსურ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებას არჩევენ, რაც თავის მხრივ, სასამართლოში საქმეთა რაოდენობის განტვირთვას შეუწყობს ხელს.

ერთ-ერთმა იურისტმა მოქალაქესა და ბანკს შორის დავაზე ისაუბრა, რომლის ფილიალის მენეჯერმა მეანაბრეს რამდენიმე ასეული დოლარი მოპარა. პირი დაიჭირეს და შვიდწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მეანაბრემ ფულის უკან დასაბრუნებლად ბანკს სასამართლოში უჩივლა; საქმე უზენაეს სასამართლოში განიხილეს, მაგრამ იმდენი ხნით გადაიდო, რომ დამნაშავემ სასჯელი მოიხადა და ციხიდანაც გამოვიდა. რესპონდენტის თქმით: „მე დღეს უზენაესში ვარ და ბანკიდან დავა ვერ დავამთავრე, რომ თანხა ავიღო. ტიპმა სასჯელი მოიხადა, გამოვიდა და ოჯახი ფულს ვერ იღებს. თითოეული დღე ბანკისთვის არის მომგებიანი, რაც მეტს გააჩერებს ბანკისთვის, ეხლა ხომ მომგებიანია” (იურიდიული ფირმა, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია).

სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა სხვა სახის გამოწვევებზეც ისაუბრეს. მათი განმარტებით, სასამართლოებს დიდი დრო სჭირდება ისეთი მცირე საქმეების შესასრულებლად, როგორიცაა, მაგალითად, სასამართლო განაცხადზე პასუხის გაცემა, ფაილების ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა, ელექტრონულ სისტემაში წვდომისთვის მომხმარებლის საიდენტიფიკაციო სახელისა (ID) და პაროლის მიწოდება და სასამართლო გადაწყვეტილების შეტყობინება. რესპონდენტებმა ყურადღება სასამართლოსთან კომუნიკაციის პრობლემურობაზეც გაამახვილეს, რომელიც, მათი შეფასებით, პანდემიის პირობებში კიდევ უფრო გაუარესდა: „ახლა უკვე ისეთი სიტუაცია არის, რომ უბრალოდ სასამართლოში დარეკვასაც აზრი არ აქვს იმიტომ, რომ არასდროს, არავინ ყურმილს არ იღებს... რომ მიხვიდე, უკვე ადგილზე, იქაც გეუბნებიან, რომ ჯერ არ არის მომზადებული დოკუმენტი, მერე არკვევ, თუ ვის რა აწერია... ფაქტობრივად, ხუთ დღეში შესასრულებელი სამუშაო, ზუსტად სამი თვე შეიძლება გაიწელოს“ (მსხვილი ბიზნესი, საკვების წარმოება და გაყიდვა, ოპერირებს საქართველოში). მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები აღწერენ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ვადები დაირღვა, თუმცა, მიუხედავად ამისა, დოკუმენტები არა მიმდინარე, არამედ პირვანდელი თარიღით იყო გაფორმებული: „ორი წელი პასუხი

არ გვქონდა და ორი წლის წინანდელი თარიღით ჩაგვაბარა დოკუმენტი. ეს ჩვეულებრივი, მიღებული პრაქტიკაა სასამართლოში, რომ ძველი თარიღით გვაბარებენ დოკუმენტებს“ (მსხვილი ბიზნესი, ფარმაცევტული კომპანია, ოპერირებს საქართველოში).

საშუალო და მსხვილი ბიზნესის ზოგიერთი წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ მოსამართლეებისთვის გაუგებარია, თუ როგორ მუშაობს ბიზნესი. მათი მთავარი ჩივილი პროცესების ცუდ ადმინისტრირებასა და მათი დროის დაუფასებლობას ეხება. ზოგჯერ ათი საქმე ერთსა და იმავე დროს განიხილება, ხოლო ადამიანებმა არ იციან საქმეების თანმიმდევრობა. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, მსგავსი შემთხვევები ზედამხედველობის ნაკლებობითაა გამოწვეული. თბილისის გარეთ მყოფი ბიზნესები დამატებით ფიქრობენ, რომ სასამართლოებისადმი ნდობის ნაკლებობა და მაღალი ბაჟიც ბიზნესებისთვის გამოწვევაა.

რესპონდენტების ნაწილმა ზემოთ აღწერილი პრობლემების გამომწვევ მიზეზებზეც იმსჯელა. მათი აზრით, სასამართლო სისტემა გარე იურიდიული სამყაროსთვის დახურულია. ისინი ფიქრობენ, რომ სასამართლოს ისეთი თანამშრომლები ინიშნებიან მოსამართლეებად, რომელთაც რაიმე სოციალური კავშირები აქვთ. ასევე, მიაჩნიათ, რომ კვალიფიციურ იურისტებს ხშირად მცირე სტიმული აქვთ გახდნენ მოსამართლეები, რადგან დიდ შრომას მოიცავს და არასაკმარისად ანაზღაურებადია.

გამოწვევების კიდევ ერთი მიზეზი, რესპონდენტების აზრით, მოსამართლეთა დაბალი ხელფასები და არასაკმარისი სოციალური გარანტიებია. შედეგად კი, მოსამართლეები ცდილობენ, „ყველა [მათი] მადლიერი“ იყოს, პოზიციის დატოვების შემდეგ იურისტებად მუშაობა ან სხვა საქმის კეთება რომ შეძლონ.

სასამართლოში პრობლემების კიდევ ერთ მიზეზად, რამდენიმე მსხვილი ბიზნესის აზრით, სასამართლო სისტემაში პასუხიმგებლობის არაეფექტური ჯაჭვია. მათი განმარტებით, რთულია, სასამართლო სისტემაში იმის გამორკვევა, თუ ვინ რა საკითხზე აგებს პასუხს. შესაბამისად, მოსამართლეები თავს ანგარიშვალდებულებად არ თვლიან. მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი, რომელიც წარსულში მოსამართლე იყო და სისტემას კარგად იცნობს როგორც შიგნიდან, ისე გარედან, ფიქრობს, რომ ეს ზუსტი დახასიათებაა: „აბა, ჰკითხეთ თქვენ იმ მოსამართლეს, რო ვერ ქაჩავ? მოდი, დაგეხმარები და ტრენინგს ჩაგიტარებ. იცით, როგორი რეაქცია მოყვება ამას? არავის არ ენდომება იმ სტატუსის მიწებება, რომ შენ ვერ ქაჩავ და გეხმარებიან... ეგრევე დალაგდება ყველაფერი. უბრალოდ, მისცეს შესაძლებლობა, რომ ვინც სასამართლო სისტემაში მისული არის იმისთვის, რომ კომფორტის ზონა შეიქმნას და მისი ძალაუფლება გამოიყენოს, ამას აყენებინებენ... ვერ ვიტყვი ესე, რომ ვიღაცა რამეს ვერ აკეთებს და ამაშია პრობლემა. ვერ აკეთებში კი არა, არ უნდათ, არ თხოვენ...“ (მსხვილი ბიზნესი, საბანკო სექტორი, ოპერირებს საქართველოში). თუმცა, ზოგიერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ არიან პროფესიონალი და პასუხისმგებლიანი მოსამართლეები, რომელთაც საკუთარი რეპუტაცია ადარდებთ. რესპონდენტები კმაყოფილები არიან ხოლმე, როცა მათი საქმეების განხილვა მსგავს მოსამართლეს ეწერება.

კვლევის ფარგლებში თითქმის ყველა რესპონდენტი შეეხო სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალს, რაშიც მათ გამოცდილება აქვთ. მონაწილეებს შორის მხოლოდ ერთი მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი იყო, რომელსაც სისხლის სამართლის გამოცდილება აქვს. მონაწილეები აღნიშნავენ, რომ სისხლის სამართლის მოსამართლეები სრულიად განსხვავებულები არიან. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, „სისხლის მოსამართლეებს მიაჩნია, რომ რაღაცა ელიტარული ტიპები არიან და ძალიან დიდი ამბიცია აქვთ და უხეშებიც არიან, ზოგადად. პროცესი ცოტა სხვანაირი აქვთ იმათ. ისინიც ვერ იტანენ ვერანაირ განსხვავებულ მოსაზრებას იმიტომ, რომ იმათაც მიაჩნიათ, რომ არიან ღმერთები პროცესის“ (მსხვილი ბიზნესი, საბანკო სექტორი, ოპერირებს საქართველოში).

კომერციული პალატა / მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია

- თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოში დავის ყველა სფეროში ვიწრო სპეციალიზაცია დაინერგა. ამ საკითხზე საშუალო და მსხვილ ბიზნესების შეხედულებები განსხვავდება;
- თბილისს გარეთ მყოფ საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს კომერციული პალატისა და მოსამართლეების კომერციული დავებში ვიწრო სპეციალიზაციის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მათი დავების ირგვლივ არსებულ მუდმივ პრობლემაზე გაამახვილეს ყურადღება, რაც მათი საქმეების მოსამართლეთა მცირე რაოდენობის მიერ განხილვას გულისხმობს და რაც თავის მხრივ, სასამართლო საქმეების განხილვის დროში გაჭიანურებას იწვევს;
- მსხვილი და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს თბილისში და იურისტებს, ზოგადად მოსწონთ იდეა, რომ 500 000 ლარზე მეტი ოდენობის საქმეები განსახილველად კომერციულ პალატას გადაეცეს და მათი სწრაფად განხილვა მოხდეს. მათი აზრით, ამ მიდგომას საერთო პრაქტიკის ჩამოყალიბებაც შეუძლია. თუმცა, ფიქრობენ, რომ მოსამართლეთა კვალიფიკაცია არადამაკმაყოფილებელია. რესპონდენტების აზრით, მოსამართლეთა როტაციის სიხშირე ართულებს მათ სპეციალიზებას დავის კონკრეტულ კატეგორიაში.

საშუალო და მცირე ბიზნესების წამომადგენლებს არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში[3], დავის ყველა კატეგორიაში ვიწრო სპეციალიზაცია დაინერგა, მათ შორის, განხორციელდა დიდი კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციაც. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მოსწონთ იდეა, რომ მსგავსი კატეგორიის საქმეები მოსამართლეთა მცირე წრეში განიხილებოდეს. ეს, მათი აზრით, მოსამართლეებთან კომუნიკაციას გაამარტივებს. თუმცა, თვლიან, რომ საქმეების განხილვა დიდ დროს წაიღებს. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს: „ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იყო, სავარაუდოდ, [იმისთვის] რომ განტვირთულიყო სხვა მოსამართლეები და ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეებს გარკვეული კატეგორიის საქმეები განეხილათ, მაგრამ... ეწერებათ ძირითადად ერთი და იგივე მოსამართლეებს ეგეთი საქმეები და არ ვიცი, ყველაზე დიდი პრობლემა

[3] https://transparency.ge/ge/post/vicro-specializaciebis-porma-saerto-sasamartloebis-sistemashi

გაჭიანურების გვაქვს სწორედ მაგის გამო“ (მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ოპერირებს საქართველოში).

მსხვილი და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები და იურისტები თბილისში განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ მოსამართლეების ვიწრო სპეციალიზაციის შესახებ. ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენელი იხსენებს კომერციული პალატის შექმნის თავდაპირველ გეგმას, რომელზეც იუსტიციის სამინისტრო უცხოელ ექსპერტებთან ერთად მუშაობდა. გეგმის თანახმად, პალატა მაღალპროფესიონალი მოსამართლეებისგან უნდა დაკომპლექტებულიყო, შემდეგ მომხდარიყო მათი ტრენინგი. გეგმა, ასევე, მოსამართლეებისთვის სოციალური გარანტიებსა და შეღავათების დაწესებასაც მოიცავდა. თუმცა, რესპონდენტის თანახმად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სხვა ინიციატივა გამოიჩინა და შექმნა პალატა, რომელიც 500 000 ლარზე მეტი ღირებულების დავებს განიხილავს. რესპონდენტი განმარტავს: „რაღაც ეტაპზე, იუსტიციის საბჭომ იჩქარა, „დაასწრო“ იუსტიციის სამინისტროს... პრობლემა რა არის? ის, რომ ეს პალატები კომპლექტდებიან იგივე მოსამართლეებით, ვინც სისტემაშიც არიან და აქ, რეალურად, ეს არაფერს ცვლის... აქ ბევრად დიდი და მასშტაბური და სისტემური სამუშაო იყო გასაკეთებელი“ (ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენელი).

თბილისის ფოკუს ჯგუფებში მონაწილეები კიდევ ერთ საკითხზე ამახვილებენ ყურადღებას. იურიდიული კონსულტანტის განმარტებით, ვისწრო სპეციალიზაციის მოსამართლეების პალატებსა და კოლეგიებს შორის როტაცია მაღალია: „წარმოიდგინეთ, ვალდებულებით სამართალს რომ იხილავს მოსამართლე, ვთქვათ, ერთი შვიდი-რვა წელია, უცებ გადასვეს, ვთქვათ, სანივთოში, რომელიც აბსოლუტურად სხვა სპეციფიკაა და იქ სანამ მიეჩვევა, სანამ გაერკვევა სპეციფიკაში, ერთი წელი იმუშავებს, უცებ კიდევ სხვაგან გადასვამენ“ (საშუალო და მსხვილი ბიზნესების იურიდიული კონსულტანტი, თბილისი).

ერთ-ერთი იურისტის განმარტებით რეფორმა „არაჯანსაღი“ იყო, ვინაიდან პალატისთვის გამოყოფილი ხუთი პირის კომპეტენცია არ აკმაყოფილებს აღნიშნული პალატის მოთხოვნებს: „შეიძლება, ეხლა, „ონ ჯობ ტრენინგი“ გააკეთეს და ისწავლეს რაღაცეები..., მაგრამ, ნუ, იქ სხვა თემა შემოდის უკვე, სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის, ერთ ხელში ხვდება ყველა მნიშვნელოვანი დავები“ (იურიდიული ფირმა, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია). მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი საბანკო სექტორიდან მსგავს შეხედულებას გამოხატავს და ამბობს, რომ კომერციული პალატის მოსამართლეებს ნამდვილად ესაჭიროებათ მეტი კვალიფიკაცია იმისთვის, რომ დავების შინაარსი გაიგონ და/ან კითხვების დასმის კომპლექსი დაძლიონ, მოიწვიონ სპეციალისტები და/ან მოითხოვონ სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნა. რესპონდენტის განცხადებით, სასამართლომ თავისით ჩაიგდო თავი ამ სიტუაციაში და მოირგო კონკრეტული პოზიცია: „შენ თქვი და მე მაინც რასაც ჩავთვლი, იმას გადავწყვეტ“ (მსხვილი ბიზნესი, საბანკო სექტორი, ოპერირებს საქართველოში).

მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი სამშენებლო სექტორიდან ზოგადად მხარს უჭერს იდეას, რომ ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეები იყვნენ და კონკრეტულ სფეროს სწავლობდნენ. თუმცა, მას კითხვები სპეციალიზებული მოსამართლეებისთვის საქმეების ავტომატურ განაწილებასთან დაკავშირებით აქვს. რესპონდენტის აზრით, მოსამართლეთა რაოდენობა მცირეა, შედეგად, თუ ერთ-ერთი მათგანი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარს იტყვის, სარჩელის ხელმეორედ შეტანის შემთხვევაში შესაძლოა, იგივე მოსმართლეს შეხვდეს საქმე: „ხელმეორედ რომ შეგაქვს სარჩელი, გინდა თუ არა, ვერ აცდები და ისევ იგივე მოსამართლეს ეწერება. ამ მხრივ მაინც და მაინც კარგი გამოცდილება ვერ ვნახეთ ჩვენ... სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ვსაუბრობთ, ხო?! და ფაქტობრივად კონსტიტუციური უფლების მიღმა შეიძლება, დარჩე ასეთი დამოკიდებულების გამო“ (მსხვილი ბიზნესი, სამშენებლო სექტორი, ოპერირებს თბილისსა და ბათუმში).

რესპონდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ რეფორმამ საქმეების განხილვის ვადები გააუმჯობესა. ერთ-ერთი მათგანი ამბობს: „მე მქონია შემთხვევა, ბოლო პერიოდში, როდესაც 500 000 ლარს სცდებოდა დავა, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს შესაბამისი სპეციალიზაციის მქონე მოსამართლემ და საკმაოდ სწრაფად მოხდა დავის გადაწყვეტა და რაც მთავარია, სწორი გადაწყვეტილება გამოიტანა... ანუ კომპეტენციის თვალსაზრისითაც და ვადების თვალსაზრისითაც, არანაირი პრობლემა არ ყოფილა“ (საშუალო ბიზნესი, გერმანული კომპანიის წარმომადგენელი თბილისში, ოპერირებს საქართველოში, სასამართლო გამოცდილებით ბოლო ხუთი წლის მანძილზე). მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები იზიარებენ მოსაზრებას, რომ საქმეების მცირე რაოდენობის შემთხვევაში მოსამართლეები უფრო სწრაფად განიხილავენ მათ. რესპონდენტების ნაწილი ფიქრობს, რომ მსგავსი შემთხვევები საერთო პრაქტიკის განვითარებას უწყობს ხელს.

სასამართლოში კორუფციის აღქმა

- საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს თბილისში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და მსხვილი კომპანიების წარმომადგენლების უმეტესობას სასამართლოში კორუფციის შემთხვევების შესახებ არ გაუგია. საშუალო ბიზნესი თბილისში და იურისტები საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციიდან სასამართლოებში გავლენების შესახებ საუბრობენ და სასამართლო სისტემაში გავლენიანი წრეების არსებობაზე მიუთითებენ;
- ერთ-ერთმა იურისტმა დიდი კომერციული საქმის შესახებ ისაუბრა, რომელიც კორუფციის აშკარა ნიშნებს შეიცავდა. რესპონდენტები თვლიან, რომ თუკი დიდი კომერციული დავის საქმეები დროში სწრაფად წყდება, მაშინ ეს შესაძლოა, კორუფციის მანიშნებელი იყოს.

საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს თბილისს გარეთ და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებს სასამართლოებში კორუფციის შემთხვევების შესახებ არ სმენიათ. ასევე, საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები და იურისტები თბილისში სასამართლო სისტემაში კორუფციის კონკრეტულ მაგალითებზე ვერ საუბრობენ. თუმცა, ამბობენ, რომ სასამართლოებში გავლენები არსებობს. გავლენებზე საუბრისას ისინი სასამართლო

სისტემასა და ბიზნესში გავლენიან წრეებს გულისხმობენ. ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენელი ამბობს, რომ სასამართლოში ისეთ ადვოკატებზე გაჩნდა მოთხოვნა, ვისაც საქმეების „დალაგება“ შეუძლია. რესპონდენტის თანახმად, როდესაც სასამართლოში საქმეების „დალაგება“ შეიძლება, ეს კორუფციასაც მოიცავს: „კორუფცია მაინცდამაინც ფულიანი ჩემოდნით სიარული ხომ არ არის, მათ შორის არის გავლენით ვაჭრობა, ძალიან ბევრი გადაწყვეტილება შეიძლება არ იყოს, რომელიც მსგავსი ტიპის ეჭვის საფუძველს ტოვებს, მაგრამ ერთი გადაწყვეტილება მე ზუსტად ვიცი იმიტომ, რომ თვითონ მაქვს წაკითხული. ეს იყო, მაგალითად, ფილიპ მორისის საქმე[4], რომელიც საბედნიეროდ სააპელაციო სასამართლომ შეცვალა“ (ბიზნესის ასოციაციის წარმომადგენელი).

ერთ-ერთი იურისტის განცხადებით, აშკარა კორუფციის ნიშნები უნახავს ისეთ საქმეებში, სადაც დიდი კომერციული ერთეულებია ჩართული. მონაწილე, მსხვილი კომპანიის საქმეს იხსენებს, რომელიც სამოქალაქო სამართლის საქმე იყო და რომელიც მთავრობის შეცვლამდე, დაახლოებით ხუთი წლის წინ დასრულებული საქმე იყო უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით. მთავრობის ცვლილების შემდეგ, დაინტერესებულმა ჯგუფმა დასრულებული საქმე დაშალა და ხელახლა შეიტანა სარჩელი. მოსამართლემ სარჩელი დააკმაყოფილა და კორპორაციას ათობით მილიონი ამერიკული დოლარის გახდა დააკისრა: „სასამართლოში მე პირდაპირ კორუფციას ვხედავ... მე დავინახე, რომ მათ, ასე ვთქვათ, პირდაპირ, რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი გააკეთეს“ (იურიდიული ფირმა, საქართველოს იურდიული ფირმების ასოციაცია). რესპონდენტის განცხადებით, აღნიშნული სასამართლო პროცესი ძალიან სწრაფად მიმდინარეობდა, რაც, მისი აზრით, ხშირად კორუფციის მანიშნებელია: „საერთო წესი არის, რომ ჭიანურდება, არასოდეს ვადებში არ ჯდება. თუ რომელიმე დავა ვადებში ჯდება, ათი შემთხვევიდან რვა შემთხვევაში დაინტერესებაა ან კორუფციული, ან სხვაგვარი“ (იურიდიული ფირმა, საქართველოს იურდიული ფირმების ასოციაცია). რესპონდენტი კიდევ ერთ სწრაფ სასამართლო პროცესზე საუბრობს, სადაც მხარეს ინვესტორები წარმოადგენდნენ. საქმე სარჩელის შეტანიდან 20 დღის ვადაში დასრულდა. რესპონდენტის განცხადებით: „ცხრა წუთში მოსამართლემ განიხილა დავა და ნახევარმილიარდიანი ქონება ჩამოართვა ინვესტორს და სარჩელის შეტანიდან 20 დღეში დაამთავრეს ეს დავა, მოსამართლემ გადაწყვეტილება გამოიტანა და გადაუფორმა ამ სქემით, თვითონ ამ კომპანიას რა, ქართულს“ (იურიდიული ფირმა, საქართველოს იურდიული ფირმების ასოციაცია). რესპონდენტის თანახმად, მსგავსი შემთხვევები ინვესტორებისთვის უარყოფითი გზავნილებია.

სასამართლო სისტემის ამჟამინდელი მდგომარეობის გავლენა ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებაზე

- ბიზნესის წარმომადგენლების შეხედულებები ორად იყოფა, როცა მსჯელობენ, თუ რამდენად დადებითი ან უარყოფითი გავლენა აქვს სასამართლოებში დღეს არსებულ მდგომარეობას საქართველოს ეკონომიკაზე, უცხოელი ინვესტორების

[4] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ საქმის მოკლე აღწერა და სასამართლო გადაწყვეტილების შეფასება შეგიძლიათ იხილოთ აქ:https://www.transparency.ge/ge/blog/sasamartlos-gadatsqvetileba-kompania-philip-morrisistvis-93-milionamde-laris-dakisrebasta-kitkhvebs-badebs

მოზიდვასა და ადგილობრივი ბიზნესის აქტივობების გაფართოებაზე. სასამართლო სისტემის ზოგადი შეფასებებისგან განსხვავებით, რომელიც საკმაოდ დადებითი იყო, ბიზნესის წარმომადგენლები სასამართლოებში დღეს არსებული მდგომარეობის გავლენას ეკონომიკასა და ბიზნესზე კრიტიკულად უყურებენ.

- განსხვავება გამოიკვეთა სატელეფონო გამოკითხვაში მონაწილეებსა და სიღრმისეულ ინტერვიუებსა და ფოკუს ჯგუფებში მონაწილეთა მოსაზრებებს შორის. სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების თითქმის ყველა მონაწილე მიიჩნევს, რომ სასამართლო სისტემის ამჟამინდელი მდგომარეობა ქვეყნის ეკონომიკასა და ბიზნესის განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენს. მათი განმარტებით, განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა საინვესტიციო კლიმატზე აქვს. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები თბილისს გარეთ ამ საკითხებზე უფრო ზოგად შეხედულებებს გამოთქვამენ, ხოლო მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები მეტად ინფორმირებულნი არიან;
- რესპონდენტების განმარტებით, საქართველოს მართლმსაჯულებაში არსებული სიტუაცია ინვესტორებისთვის საიდუმლო არ არის. ზოგიერთი იურისტი და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი აღწერს შემთხვევებს, როცა ინვესტორებმა იმისთვის, რომ ხელშეკრულებაში ქართული სასამართლოს მითითება თავიდან აეცილებინათ, გრძელი გზა გაიარეს. მათ ესმოდათ ან საკუთარი გამოცდილებიდან იცოდნენ, რომ აქ ფულის დაბანდება ყოველთვის უსაფრთხო არ არის;
- ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენელი დეტალურად განიხილავს, თუ როგორ გავლენას ახდენს საკრედიტო დავების დაგვიანებული და არაეფექტური სასამართლო გადაწყვეტილებები საქართველოში ფინანსური ინსტიტუტების საპროცენტო განაკვეთზე, რომელთაც რისკების მოდელირებისას სასამართლო რისკების გათვალისწინებაც უწევთ;
- თბილისს გარეთ მყოფი მცირე ბიზნესის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ხანგრძლივი საპროცესო ვადების გამო, მსხვილ ბიზნესებს მცირე ბიზნესების საქმიდან გაყვანა შეუძლიათ. მათი აზრით, ეს ხელს უწყობს საქართველოს ეკონომიკური გარემოს გაღარიბებას;
- რამდენიმე მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელიც თბილისის ფარგლებს გარეთ ოპერირებს, აცხადებს, რომ სასამართლოებში არსებული ამჟამინდელი მდგომარეობა ეხმარება ბიზნესს და მის განვითარებას უწყობს ხელს.

გამოკითხვის ფარგლებში ბიზნესის წარმომადგენლებს სთხოვდნენ, გამოეთქვათ მოსაზრებები, თუ როგორ გავლენას ახდენს სასამართლოებში დღეს არსებული მდგომარეობა საქართველოს ეკონომიკაზე, უცხოელი ინვესტორების მოზიდვასა და ადგილობრივი ბიზნესების აქტივობების გაფართოებაზე. შეხედულებები გაიყო. ბიზნესის 33% აცხადებს, რომ სასამართლოებში ამჟამინდელ მდგომარეობას ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითი გავლენა აქვს, ხოლო დაახლოებით მესამედი (30%) საპირისპიროს ფიქრობს. ბიზნესის წარმომადგენლების 29% ამბობს, რომ აღნიშნულ მდგომარეობას დადებითი გავლენა აქვს უცხოელი ინვესტორების მოზიდვაზე; დაახლოებით იგივე წილი კი ამბობს, რომ გავლენა უარყოფითია. მსგავსი დამოკიდებულება გამომჟღავნდა, როდესაც ადგილობრივი ბიზნესის აქტივობების გაფართოებაზე სასამართლოების მდგომარეობის გავლენას აფასებდნენ. ბიზნესის წარმომადგენლების 31%-ს სჯერა, რომ სასამართლოებში არსებულ მდგომარეობას

დადებითი გავლენა აქვს ადგილობრივი ბიზნესის აქტივობებზე, ხოლო 28% ფიქრობს, რომ ეს გავლენა უარყოფითია. ზოგადად, კი ბიზნესების 22%-29%-მა ამ საკითხებზე აზრის გამოთქმა ვერ შეძლო (იხ. დიაგრამა 7).

დიაგრამა 7: სასამართლო სისტემაში არსებული მდგომარეობის გავლენა ბიზნესსა და ეკონომიკაზე



თვისებრივ კვლევაში მონაწილე თითქმის ყველა ტიპის რესპონდენტი, გარდა თბილისს გარეთ მყოფი მცირე ბიზნესებისა, ფიქრობს, რომ სასამართლო სისტემაში არსებულ მდგომარეობას ქვეყნის ეკონომიკასა და განვითარებაზე უარყოფითი გავლენა აქვს, კონკრეტულად კი საინვესტიციო გარემოზე. თბილისს გარეთ მომუშავე მცირე ბიზნესის წარმომადგენლები აღნიშნულ თემაზე ცოტას საუბრობენ, ხოლო სხვა რესპონდენტებს უარყოფითი გავლენის დასასაბუთებლად სხვადასხვა მაგალითი მოჰყავთ.

თბილისში მყოფი იურისტი, რომელიც საშუალო ბიზნესების წარმომადგენელია, აღნიშნავს, რომ არცერთი უცხოელი ინვესტორი, ვისთანაც მას უმუშავია, საქართველოს სასამართლო სისტემის მიმართ ნდობას არ გამოხატავს. შესაბამისად, ცდილობენ, თავიდან აირიდონ ქართული სასამართლოების ხელშეკრულებაში მითითება. ეს განსაკუთრებით იმ კონტრაქტებს ეხება, რომლებიც დიდ ფინანსურ ტრანზაქციებს მოიცავს. ინვესტორებმა ქართულ სასამართლოებს საერთაშორისო არბიტრაჟი ამჯობინეს. ადვოკატი ამბობს: „მე არ ვარ ეკონომიკური ექსპერტი, თუმცა, ხელის გულზე დევს ის უარყოფითი შედეგი, რასაც აჩვენებს ჩვენი სასამართლოს ესეთ რთულ პირობებში და მდგომარეობაში ყოფნა, ვგულისხმობ გაჭიანურებულ პროცესებს, ვგულისხმობ იმას, რომ

ნდობა არ აქვს ინვესტორს... თითქმის არცერთ მათგანს არ გამოუხატავს ნდობა ჩვენი ქართული სასამართლოს, მართლმსაჯულების მიმართ... ყველა მათგანი, მიუთითებს იმას, რომ სურთ დავის გადაწყვეტა რომელიმე არბიტრაჟში, საერთაშორისო არბიტრაჟზეა საუბარი“ (საშუალო ბიზნესი, გერმანული კომპანიის წარმომადგენელი, ოპერირებს თბილისში, სასამართლო გამოცდილებით ბოლო ხუთი წლის მანძილზე). რესპონდენტი ასევე საუბრობს შემთხვევაზე, როდესაც უცხოელმა ინვესტორებმა საქართველოში ისეთი შრომითი დავა წააგეს, რომელსაც ლოგიკური ახსნა არ ჰქონდა და, შესაბამისად, ქართული სასამართლოების ხელშეკრულებაში მითითების სურვილი აღარ ჰქონდათ. მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი საბანკო სექტორიდან მიიჩნევს, რომ სასამართლო სისტემის არაპროგნოზირებადობა დიდ შემაფერხებელ გარემოს წარმოადგენს ბიზნესებისა და ინვესტორებისთვის. რესპონდენტის განცხადებით: „ფულს როდესაც დებ, გაქვს მოთხოვნილება იმისი, რომ ის ფული იყოს დაცული და მინიმუმ უკან მაინც დაიბრუნო, თუ რაღაცა არ გამოგვიდა. დღევანდელ ვითარებაში ამის შესაძლებლობა ძალიან ნაკლებია“ (მსხვილი ბიზნესი, საბანკო სექტორი, ოპერირებს საქართველოში). კიდევ ერთი მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი ამბობს, რომ უცხოელმა ინვესტორებმა უკვე იციან, რომ სასამართლოები საქართველოში შესაძლოა, ძალიან არაეფექტური იყოს. შედეგად კი შეიძლება, მათ საქართველოში ინვესტირება არ მოინდომონ.

ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენელი აცხადებს, რომ სესხებთან დაკავშირებული საქმეების ნელი წარმოება ზოგადად ზრდის საპროცენტო განაკვეთს. მისი თქმით, ვინაიდან, სასამართლო საქმეების გადაწყვეტას შესაძლოა, რამდენიმე წელი დასჭირდეს და აღსრულება ხშირად არაეფექტურია, ბანკები ამას თავიანთი რისკის მოდელში ითვალისწინებს, რაც საპროცენტო განაკვეთის ზრდას იწვევს: „თუ საშუალოდ ჩემი ათი მომხმარებლიდან, ორი ვერ აბრუნებს სესხს, იმათ რისკსაც, იმათ დაბრუნებულ ფულსაც ავსახავ სესხის პროცენტში თავიდანვე“ (ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენელი).

თბილისს გარეთ მყოფი მცირე ბიზნესის წარმომადგენლები სასამართლო საქმეების განხილვის ხანგრძლივი ვადების გამო, მსხვილი ბიზნესების მიერ მცირე ბიზნესების ხელში ჩაგდებაზე საუბრობენ. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს: „გამიგია, ძალიან დიდი დრო ჭირდება სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებას და დიდი კომპანიები მაინც ყლაპავს პატარა კომპანიებს, ასე რომ ვთქვათ. კრიზისი იქნება ამ მხრივ ყოველთვის“ (მცირე ბიზნესი, საცალო გაყიდვები, ოპერირებს თბილისში, სასამართლო გამოცდილების გარეშე ბოლო ხუთი წლის მანძილზე).

ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, ბიზნესგარემოს შესახებ კანონმდებლობა არაადეკვატურია. მისი თქმით, სასამართლო არ ქმნის ხელსაყრელ გარემოს მცირე ბიზნესისთვის - „კანონმდებლობა იმდენად არაადეკვატურია ჩვენს შემთხვევაში, ბიზნესის განვითარების კუთხით... სასამართლო უნდა იყოს ადეკვატური აღნიშნული სიტუაციის მიმართ, რომ მისცეს გასაქანი. არაფრის გასაქანს არ აძლევენ... არ ითვალისწინებს ბიზნესის ინტერესს, თუკი პატარას რაიმე შეეშალა და წაბორძიკდა, მთლიანად ჩაძირავს და საერთოდ, ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს“ (მცირე ბიზნესი,

საცალო გაყიდვები, ოპერირებს ხაშურში, სასამართლო გამოცდილების გარეშე ბოლო ხუთი წლის მანძილზე).

თბილისის ფარგლებს გარეთ მყოფმა მცირე და საშუალო ბიზნესის მხოლოდ რამდენიმე წარმომადგენელმა თქვა, რომ სასამართლომ ხელი შეუწყო ბიზნესის განვითარებას. ერთ-ერთმა მათგანმა სასამართლო გადაწყვეტილების მაგალითი მოიყვანა, რომელიც ბიზნესს ქონების შენარჩუნებაში დაეხმარა.

სასამართლო გამოცდილება

- ბოლო ხუთი წლის მანძილზე ბიზნესების მხოლოდ 8%-ს ჰქონია სასამართლო გამოცდილება. საშუალო და მსხვილ ბიზნესს უფრო ხშირად ჰქონია სასამართლო გამოცდილება, ვიდრე მცირე ბიზნესს;
- სასამართლო გამოცდილების მქონე ბიზნესების მესამედი აცხადებს, რომ მათი საქმეები მიმდინარეა. 40% კი ამბობს, რომ საქმე მათ სასარგებლოდ დასრულდა. მხოლოდ 11% აცხადებს, რომ საქმე მათ საწინააღმდეგოდ გადაწყდა;
- სასამართლო გამოცდილების მქონე ბიზნესების დაახლოებით მესამედი ამბობს, რომ სასამართლო პროცესები წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა.

ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება ბიზნესების მხოლოდ 8%-ს ჰქონია. საშუალო (21%) და მსხვილი (22%) ბიზნესების უფრო დიდ წილს აქვს სასამართლო საქმის წარმოების გამოცდილება, ვიდრე მცირე ბიზნესს (7%) (იხ. დიაგრამა 8).

დიაგრამა 8: ბიზნესის სასამართლო გამოცდილება ბოლო ხუთი წლის მანძილზე



სასამართლო გამოცდილების მქონე ბიზნესების (8%) წარმომადგენელთაგან მეოთხედი ამბობს, რომ სასამართლო პროცესები ერთ თვეს ან უფრო ნაკლებ ხანს გაგრძელდა (25%), 13% ამბობს, რომ სასამართლო პროცესები 2-6 თვის მანძილზე მიმდინარეობდა. დაახლოებით მეხუთედი (19%) აცხადებს, რომ პროცესები წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ბიზნესის წარმომადგენლების 7% კი არ/ვერ ასახელებს სასამართლო პროცესების ხანგრძლივობას და კითხვაზე პასუხად „არ ვიცი“-ს ან „უარი პასუხზე“-ს ამბობს (იხ დანართი 1, ცხრილი 8 და 9).

სასამართლო გამოცდილების მქონე ბიზნესების მესამედი (33%) აცხადებს, რომ მათი საქმეები ჯერ კიდევ მიმდინარეა. აღნიშნული ბიზნესების წარმომადგენლების 40% ამბობს, რომ საქმე მათ სასარგებლოდ დასრულდა, ხოლო 11%-ის განცხადებით, საქმე მათ საწინააღმდეგოდ გადაწყდა. 14%-ის შემთხვევაში კი საქმე მორიგებით დასრულდა (იხ. დანართი 2, ცხრილი 11). ბიზნესის წარმომადგენლების 43% სასამართლო პროცესით ნაწილობრივ კმაყოფილებას გამოთქვამს, ხოლო 19% სასამართლო პროცესით ძალიან კმაყოფილია. ამის საპირისპიროდ, ბიზნესების დაახლოებით მეხუთედი (21%) ნაწილობრივ უკმაყოფილებას გამოთქვამს, ხოლო 16% სასამართლო პროცესით ძალიან უკმაყოფილოა (იხ. დანართი 2, ცხრილი 11). სასამართლო პროცესებით სრული ან ნაწილობრივი უკმაყოფილების მთავარი მიზეზი მათი ხანგრძლივობა (61%) და

სასამართლოს მიერ ბიზნესის ინტერესების გაუთვალისწინებლობაა (28%) (იხ. დანართი 2, ცხრილი 12).

მიმართვიანობა

- ბიზნესი სასმართლოს, ძირითადად, საგადასახადო დავების შემთხვევაში მიმართავს;
- ბოლო ხუთი წლის მანძილზე ბიზნესების უმრავლესობას არ ჰქონია სასამართლოსთვის მიმართვის საჭიროება;
- ბიზნესების მხოლოდ 5% ამბობს, რომ სასამართლოსთვის მიმართვის საჭიროება ჰქონდათ, მაგრამ არ მიმართეს. ამის ძირითად მიზეზად კი სასამართლო პროცესების ხანგრძლივობა და ხარჯი დაასახელეს;
- თვისებრივი კვლევის შედეგების მიხედვით, ბიზნესები და მიკროსაფინანსო დაწესებულებები სასამართლოებს განიხილავენ, როგორც უკანასკნელ საშუალებას, რომლის თავიდან აცილებასაც ყოველთვის ცდილობენ. ისინი მხარეებთან მოლაპარაკებებსა და შეთანხმებას ამჯობინებენ, ვიდრე სასამართლოსთვის მიმართვას. ძირითადი მიზეზი, რის გამოც რესპონდენტები სასამართლოსთვის თავის არიდებას ცდილობენ, გაჭიანურებული სასამართლო პროცესები, მაღალი ბაჟი და სასამართლო გადაწყვეტილების არაეფექტური აღსრულებაა. სასამართლო ხარჯებს პრობლემად განსაკუთრებით თბილისის ფარგლებს გარეთ მყოფი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები ასახელებენ;
- თბილისის გარეთ მომუშავე მცირე და საშუალო ბიზნესების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ზოგიერთ შემთხევაში იმის გამო არ მიუმართავთ სასამართლოსთვის, რომ მოგების იმედი არ ჰქონდათ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ადმინისტრაციულ ორგანოებსა და მსხვილი ბიზნესის წინააღმდეგ მიმართულ დავას ეხებოდა.

კვლევის ფარგლებში ბიზნესის წარმომადგენლებს ჰკითხეს, თუ რა შემთხვევაში მიმართავდნენ სასამართლოს. ბიზნესების 40% აცხადებს, რომ სასამართლოს საგადასახადო დავების შემთხვევაში მიმართავდა. დაახლოებით მესამედი (32%) სასამართლოში კონტრაქტის პირობების დარღვევის შემთხვევაში წავიდოდა. 30% სასამართლოს სესხის/თანხის ამოღების საჭიროების შემთხვევაში მიმართავდა. 24% კი აცხადებს, რომ სასამართლოში შრომითი დავის გამო წავიდოდა (იხ. დიაგრამა 9).

დიაგრამა 9: სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევები



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის არჩევა შეეძლოთ. შესაბამისად, პროცენტები 100-ად არ ჯამდება.

ბიზნესის წარმომადგენლების უმრავლესობას (88%), ბოლო ხუთი წლის მანძილზე, სასამართლოსთვის მიმართვის საჭიროება არ ჰქონია. მხოლოდ 5% ამბობს, რომ ჰქონდა საჭიროება, მიემართა სასამართლოსთვის, თუმცა, არ მიუმართავს. ამის მთავარ მიზეზებად ან მხოლოდ სასამართლო პროცესების ხანგრძლივობა (27%), მხოლოდ მაღალი სასამართლო ბაჟი (12%), ან ორივე ერთად (12%) სახელდება. სხვა მიზეზები, როგორებიცაა სასამართლოსადმი ნაკლები ნდობა, „არ ღირდა“ სასამართლოში წასვლა და ა.შ. უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი 2, ცხრილი 17 და ცხრილი 17_a).

თვისებრივი კვლევის შედეგები კარგად ხსნის რაოდენობრივი გამოკითხვით მიღებულ პასუხებს. ზოგიერთი მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი ამბობს, რომ სასამართლოსთვის მიმართვა მათთვის უკანასკნელი ზომაა და ყოველთვის ცდილობენ აარიდონ თავი: „ძალიან ხშირად [გვქონია სასამართლოსთვის მიმართვის საჭიროება]. ჩვენ ვთვლით, რომ სასამართლოსთვის მიმართვა, ბიზნესისთვის არ არის ქმედითი მექანიზმი, ამას ვაკეთებთ, როგორც უკიდურეს ღონისძიებას, სხვა გამოსავალი რომ აღარ არსებობს, მხოლოდ მაგ შემთხვევაში... ყოველთვის ვერიდებით სასამართლოს და მიგვაჩნია, რომ ეს უბრალოდ შედეგს თუ დადებს, ძალიან გვიან და უბრალოდ ეფექტური არ იქნება“ (მსხვილი ბიზნესი, სამშენებლო სექტორი, ოპერირებს თბილისსა და ბათუმში).

მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი ფარმაცევტული სექტორიდან ამბობს, რომ მოდავე მხარესთან ყოველთვის შეთანხმებას ცდილობენ: „ვიდრე ვიაროთ ინსტანციები, წლები გაიაროს და ხელში არაფერი გვეჭიროს“ (მსხვილი ბიზნესი, ფარმაცევტული კომპანია, ოპერირებს საქართველოში).

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც იმავე აზრს იზიარებენ, სასამართლოსთვის მიმართვას საქმის მოლაპარაკებებით წარმართვა ურჩევნიათ. ისინი ძირითადად არბიტრაჟსა და მედიაციას მიმართავენ, ვინაიდან დავის გადაწყვეტის ალტერანტიული მექანიზმები დავის სწრაფი გადაწყვეტისკენაა მიმართული. მათი თქმით: „საკმაოდ დიდი ზარალია ყველა კომპანიისთვის ასეთი გაპრობლემებული ხელშეკრულებები. ვცდილობთ, გადავწყვიტოთ ალტერნატიული საშუალებებით, რომ მაქსიმალურად დროულად მოვაგვაროთ. ძალიან მცირე დროში ვახერხებთ არბიტრაჟში საქმეთა დასრულებას, მაგრამ ისევ ვეკვეთებით სასამართლო შეფერხებას, ამჯერად უკვე აპელაციის კუთხით, სადაც ცნობა-აღსრულების დოკუმენტაციას ველოდებით“ (მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ოპერირებს საქართველოში).

თბილისის ფარგლებს გარეთ მყოფი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის სასამართლო დიდ ხარჯებთან და დროსთან ასოცირდება. შესაბამისად, რესპონდენტებს სასამართლოსთვის მიმართვისგან თავის შეკავება ურჩევნიათ. რესპონდენტების განცხადებით, თუ დავა დიდ თანხებს არ უკავშირდება, ისინი სასამართლოს არ მიმართავენ. ერთ-ერთი მათგანის თქმით: „მეწარმეები იმ განცდაში არიან, რომ ბაჟი - გადასახდელი სასამართლოზე განსახილველ საქმეებზე არის დიდი თანხა, დროში იწელება, ადვოკატი ძვირადღირებული სიამოვნებაა და აქედან გამომდინარე, მეწარმეები უბრალოდ ხელს იღებენ სარჩელის შეტანაზე სასამართლოში“ (საშუალო ბიზნესი, ოპერირებს ზუგდიდში, სასამართლო გამოცდილებით ბოლო ხუთი წლის მანძილზე).

თბილისის ფარგლებს გარეთ მყოფი მცირე ბიზნესის ზოგიერთი წარმომადგენელი სასამართლოს უნდობლობის გამო არ მიმართავს. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით: „არც ნდობაა და შესაბამისად, არც ხარჯის ანაზღაურების პერსპექტივაა და ორმაგი ხარჯი გამოდის. ამას ისევ ჯობია, ადამიანური მიდგომით მიუდგე, ან ჩაიქნიო ხელი“ (მცირე ბიზნესი, საცალო ვაჭრობა, ოპერირებს ხაშურში, სასამართლო გამოცდილების გარეშე ბოლო ხუთი წლის მანძილზე).

თბილისის ფარგლებს გარეთ მყოფი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები იხსენებენ შემთხვევებს, როცა სასამართლოსთვის მიმართვა დასჭირდათ, თუმცა არ მიმართეს, რადგან საქმის მოგების იმედი არ ჰქონდათ: „ენერგო კომპანიასთან მქონდა შემთხვევა, როცა დაიწერა ისეთი დენის ტარიფი, რომელიც არ უნდა ყოფილიყო და კონსულტაციის დონეზე გვითხრეს, რომ ენერგო კომპანიაში ჰყავთ თავიანთი მოსამართლე, რომელიც ყოველთვის მათ სასარგებლოდ წყვიტავს და აზრი არა აქვს, ასეთი რამით რომ მიმართო“ (მცირე ბიზნესი, ოპერირებს ზუგდიდში, სასამართლო გამოცდილების გარეშე ბოლო ხუთი წლის მანძილზე).

კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა სასამართლო სისტემაზე

- მსხვილი ბიზნესი, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და იურისტები ონლაინ სასამართლო პროცესებს დადებითად აფასებენ. პანდემიის უარყოფით ეფექტად პროცესების გადადებას მიიჩნევენ;
- მიკროსაფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლების აზრით, პანდემიამ აღსრულების პროცესსაც შეუშალა ხელი, რადგან აღმასრულებლებს ქონების შესაფასებლად ადგილზე მისვლა ეკრძალებოდათ და მხოლოდ სატელეფონო ზარების განხორციელება შეეძლოთ.

კვლევა პანდემიის დროს მიმდინარეობდა და შესაბამისად, კვლევის ფარგლებში მასთან დაკავშირებული გამოწვევებიც იქნა განხილული. თბილისის ფარგლებს გარეთ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს ნაკლებად ჰქონდათ სათქმელი სასამართლოს მუშაობაზე პანდემიის გავლენის შესახებ. ზოგიერთი მათგანი სასამართლო პროცესების გადადებას პანდემიის უარყოფით ეფექტად მიიჩნევს. დანარჩენები კი ონლაინ სასამართლო პროცესებს პანდემიის დადებით შედეგად თვლიან.

მსხვილი ბიზნესის და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ასევე, იურისტები ონლაინ სასამართლო პროცესებს დადებითად აფასებენ, ვინაიდან არ სასამართლოებში ფიზიკურად გამოცხადება არ სჭირდებათ და შეეძლოთ, ონლაინ დაკავშირება. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით: „სხდომების დისტანციურად გამართვა არის ძალიან კომფორტული. ძნელია, რომ ყველა საქმე გაელექტრონებული გქონდეს, ამხელა ტომებს კიდევ ვერ წაიღებ, დისტანციურად ურთიერთობის თვალსაზრისით, ამ საცობების პირობებში, ან საცობებს თავი დავანებოთ, მარტო თბილისში არ გაქვს სასამართლო დავა, მაგალითად, ბათუმში როდესაც ხარ წასასვლელი შეიძლება, სხდომა საერთოდ გადაიდოს, რაც გამაღიზიანებელია. დისტანციურად გამართვა არის ძალიან ეფექტური, გიზოგავს დროს, ყველა შემთხვევაში“ (მსხვილი ბიზნესი, სამშენებლო სექტორი, ოპერირებს თბილისსა და ბათუმში). მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წარმომადგენელი ასევე, დადებით კონტექსტში აღნიშნავს, რომ პანდემიის დროს საქმის ელექტრონული წარმოება უფასო იყო.

ზოგიერთი მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი პანდემიის გამო გამოცხადებულ ორკვირიან სახელმწიფო დასვენების მიზეზით გადადებულ სასამართლო პროცესებზე ამახვილებს ყურადღებას. მსხვილი ბიზნესის ზოგიერთი წარმომადგენელი ამბობს, რომ მხარეები ზოგჯერ სასამართლო პროცესის გასახანგრძლივებლად არგუმენტად ონლაინ სასამართლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებულ ტექნიკურ სირთულეებს იშველიებდნენ.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ პანდემიამ უარყოფითად იმოქმედა აღსრულების პროცესებზე. 2020 წლის დასაწყისში მიღებული ადმინისტრაციული აქტის თანახმად, აღმასრულებლებს ქონების შესაფასებლად დაწესებულებაში შესვლა ეკრძალებოდათ. რესპონდენტის განცხადებით: „გაუარესებულია სიტუაცია მას შემდეგ, რაც 2020 წლის გაზაფხულზე იქნა მიღებული ადმინისტრაციული აქტი, სადაც სპეციალური ღონისძიებები იქნა გაწერილი აღსრულების პროცესის სამართავად. ერთ წელიწადზე მეტია, რომ აქ სიტუაცია ბევრად გაუარესებულია. საერთოდ შიგნით შესვლა ეკრძალება და შეიძლება, შეფასებაც

არაადეკვატური იყოს, როცა სააუქციონოდ გადის ქონება იმიტომ, რომ მხოლოდ გარედან გადაღებული სურათებისა და ზოგადი ინფორმაციის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა ღირს ეს ქონება“ (მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ოპერირებს საქართველოში).

ზოგიერთი რესპოდენტი დადებითად აფასებს პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემას სახელწოდებით „ინფოქორთ“. ეს პორტალი კონკრეტული საქმის ყველა დოკუმენტს ერთ სივრცეში უყრის თავს. თუმცა, აღნიშნული სისტემა სააპელაციო სასამართლოსთვის არ გაკეთდა, რაც მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლების თქმით პოზიტიური ნაბიჯი იქნებოდა.

პანდემიის დროს მასთან დაკავშირებული რეგულაციების გამო, რესპონდენტებს არც სასამართლოში შეუტანიათ სარჩელი და არც მათთვის უჩივლია ვინმეს. შესაბამისად, მათი სასამართლო გამოცდილებები პანდემიის პერიოდს არ უკავშირდება.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება

- ბიზნესის წარმომადგენლების დაახლოებით მეათედი აცხადებს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება დროულად ხდება. დაახლოებით ნახევარს მიაჩნია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები ნაწილობრივ დროულად ან დაგვიანებით ხდება;
- ბიზნესების ნახევარს აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან შეხება არასდროს ჰქონია. ბიზნესის წარმომადგენლების დაახლოებით მეხუთედი ბიუროს მუშაობას საშუალოდ აფასებს;
- ბიზნესების უმრავლესობას არასდროს ჰქონია შეხება კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტებთან. ბიზნესების 14% კი მათ მუშაობას საშუალოდ აფასებს;
- მსხვილ ბიზნესებს, ადვოკატებსა და მიკროსაფინანსო ინსტიტუტებს უფრო მეტად აქვთ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული გამოცდილება, ვიდრე მცირე ბიზნესებს თბილისს გარეთ. ისინი გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელოვან დაყოვნებაზე საუბრობენ;
- ზოგიერთი მსხვილი ბიზნესი აღნიშნავს, რომ აღსრულება განსაკუთრებით პრობლემური თბილისის გარეთაა, რადგან ადგილობრივი აღმასრულებლები წინასწარ აფრთხილებენ პირს დაგეგმილი ვიზიტის შესახებ და შედეგად, ღირებული ნივთების გადამალვა ხდება. შესაბამისად, რესპონდენტები კერძო აღმასრულებელი სერვისის გამოყენებას ამჯობინებენ. იმავე ხერხს მიმართავენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიც, თუმცა, მათ შემთხვევაში მიზეზი აღსრულების ეროვნული ბიუროს თვეობით დაგვიანებული ქმედებებია;
- ზოგიერთი მსხვილი და საშუალო ბიზნესი აცხადებს, რომ სასამართლო საბანკო ანგარიშების დაყადაღებაზე უარს ამბობს. ზოგჯერ კი ყადაღის შესახებ განჩინებას დაგვიანებით ადგენს. თბილისის ფარგლებს გარეთ მყოფი მცირე და საშუალო ბიზნესები საბანკო ანგარიშების დაყადაღებას უსამართლოდ მიიჩნევენ, რადგან ამ შემთხვევაში ერთმევათ შესაძლებლობა, გამოიმუშავონ ვალის ან ჯარიმის დასაფარი თანხა;
- ერთ-ერთი მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი მოძრავი ქონების დაყადაღების პრობლემურობაზე საუბრობს. იმისთვის, რომ ყადაღის დადებაზე განჩინება გაიცეს, სასამართლოს მოძრავი ქონების სია სჭირდება, რომლის მოპოვებაც

ქონების მფლობელის თანხმობის გარეშე შეუძლებელია, რაც მოძრავი ქონებით უზრუნველყოფის მოთხოვნას აზრს მოკლებულს ხდის.

გამოკითხვისას რესპონდენტებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებითაც ჰკითხეს. ბიზნესების მხოლოდ 12% ამბობს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება დროულად ხდება. დაახლოებით მეოთხედი (27%) მიიჩნევს, რომ აღსრულება ზოგჯერ დროულად ხდება, ხოლო, 23%-ის აზრით, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება დაგვიანებით ხდება (იხ. დიაგრამა 10). საინტერესოა, რომ სასამართლო გამოცდილების მქონე მსხვილი ბიზნესების მეტი წილი (40%) აცხადებს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება დაგვიანებით ხდება, ვიდრე ამას სასამართლო გამოცდილების არმქონე ბიზნესები ამბობენ (21%).

დიაგრამა 10: სასამართლო გადაწყვეტილებების დროული აღსრულების შეფასება



ბიზნესების ნახევარი (50%) აცხადებს, რომ აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან კავშირი არასდროს ჰქონია. დაახლოებით მეხუთედი აღსრულების ეროვნული ბიუროს მუშაობას საშუალოდ აფასებს. 14% კი ფიქრობს, რომ ბიურო კარგად მუშაობს, ხოლო 7%-ის აზრით, ცუდად (იხ. დიაგრამა 11). რაც შეეხება კერძო აღმასრულებელ ინსტიტუტებს, ბიზნესების კიდევ უფრო მეტი წილი (62%) ამბობს, რომ კერძო აღმსრულებლებთან შეხება არასდროს ჰქონია. 14% მათ მუშაობას საშუალოდ აფასებს. შედარებით მცირე წილი კი კარგად (10%) ან ცუდად (4%) აფასებს (იხ. დიაგრამა 11).

დიაგრამა 11: აღსრულების ინსტიტუტების მუშაობის შეფასება



სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების შეფასება

თბილისის ფარგლებს გარეთ მყოფი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს სასამართლო გამოცდილება ნაკლებად აქვთ. იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც მათ გაუგიათ, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება დროში გაჭიანურებულ და პრობლემურ საკითხს არ წარმოადგენს. ზოგიერთი რესპოდენტის თქმით, აღნიშნული საკითხი კონკრეტულ შემთხვევაზეა დამოკიდებული. მათი განმარტებით, თუ სასამართლოს საქმის დასრულება დროულად არ სურს, მაშინ გადაწყვეტილების აღსრულება დროში გაჭიანურებული იქნება. ერთ-ერთი რესპოდენტის განცხადებით: „ყოფილა შემთხვევა, მაგალითად, შედეგი სასამართლოს გამოუტანია და მაინც არ აღსრულებულა. აღსრულება არ მომხდარა მაინც“ (მცირე ბიზნესი, საცალო ვაჭრობა, ოპერირებს ბათუმში, სასამართლო გამოცდილების გარეშე ბოლო ხუთი წლის მანძილზე)

მსხვილი და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს და ასევე იურისტებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული მეტი გამოცდილება აქვთ. მათი თქმით, პრობლემურია მხოლოდ არაუზრუნველყოფილი სესხების შესახებ დავების აღსრულება. სხვების თქმით, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. მათ ასევე, სასამართლოს მიერ ყადაღის დროულად დადებასთან დაკავშირებული პრობლემებიც ჰქონდათ, რაც კომპანიებს საშუალებას აძლევდა, ქონება სხვის სახელზე გადაეფორმებინათ და ასე აერიდებინათ თავი გადახდისთვის. საშუალო ბიზნესის ერთ-ერთი წარმომადგენელი თბილისში აცხადებს, რომ აღსრულების ვადების

დაცვაზე აღმასრულებლები არიან პასუხისმგებელი: „არ ვიცი, რა მიზეზით. შეიძლება, ბევრი საქმე აქვს, შეიძლება, თვითონ არ არის მოტივირებული, რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, ხო?! ანუ, თვითონ აღმასრულებელი არ მოქმედებდა, დაგვიანებით აგზავნიდა, მაგალითად, შეტყობინებებს და ა.შ.“ (საშუალო ბიზნესი, გერმანული კომპანიის წარმომადგენელი თბილისში, ოპერირებს საქართველოში, სასამართლო გამოცდილებით ბოლო ხუთი წლის მანძილზე).

ერთ-ერთი მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლის განცხადებით, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას შესაძლოა, წელიწადზე მეტი დასჭირდეს. რესპოდენტების განმარტებით, აღსრულება შესაძლოა, უმნიშვნელო მიზეზით გაჭიანურდეს, რამაც შედეგად გასაჩივრება და ასრულების ეროვნულ ბიუროსთან დავა გამოიწვიოს. ერთ-ერთი იურისტი სამთავრობო უწყებასთან დაკავშირებულ შრომით დავას აღწერს და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე საუბრობს: „ერთი დავა იყო ერთ-ერთი სახელმწიფო უწყების მიმართ და უზენაესში სასამართლომ გადაწყვიტა. ძალიან კვალიფიციური მოსამართლე შეგვხვდა, არ იყო თანხობრივად დიდი დავა, 20 000 ლარი იყო სულ ჯამში.. აღსასრულებლად რომ მიიტანეს ამ სამინისტროში სააღსრულებლო ფურცელი, ამ მინისტრმა დაურეკა გენერალურ პროკურორს და მოსთხოვა ამ ადამიანისთვის ბრალის წაყენება“ (იურიდიული ფირმა, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია).

მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი თბილისიდან ამბობს, რომ აღსრულება პრობლემას წარმოადგენს რეგიონებში. მისი განმარტებით, ადგილობრივი აღმასრულებლები ხშირად წინასწარ აფრთხილებენ თავიანთი ვიზიტის შესახებ ადამიანებს, რომლებიც შედეგად, ღირებულ ნივთებს მალავენ: „ისეთი თემებიც იყო, ძროხა? რა ვქნა აბა?! მგელმა შემიჭამა. როგორ უნდა მიხვდე ეხლა, მგელმა შეუჭამა ძროხა თუ თვითონ დაკლა?!“ (მსხვილი ბიზნესი, საბანკო სექტორი, ოპერირებს საქართველოში). შესაბამისად, აღნიშნული კომპანია კერძო სააღსრულებლო კომპანიას მიმართავს, რომელიც თბილისში ოპერირებს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლები ასევე, აღნიშნავენ, რომ კერძო სააღსრულებლო სერვისებს მიმართავენ, რადგანაც ეროვნული სააღსრულებლო ბიუროს გადაწყვეტილების აღსასრულებლად თვეები სჭირდება: „ჩვენ გვყავს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში შერჩეული კერძო აღმასრულებლები, მაინც ვფიქრობ, რომ ეს სისტემა ეფექტურია. იმიტომ, რომ საჯარო სააღსრულებო ბიუროში შეფასება, შეიძლება, ექვსი თვე და მეტი გაგრძელდეს. საუქციონე ჯგუფი რომ მიადგება ქონებას აუქციონზე გასატანად, ამ შეფასებას ჰქონდეს ვადა გასული, იქ ძაან რთულადაა საქმე. ამიტომ, კერძო სააღსრულებო ბიუროს გამოყენება ბუნებრივია, სექტორმა აქტიურად დაიწყო“ (მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ოპერირებს საქართველოში).

აღსრულებასთან დაკავშირებით ზოგიერთი საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი თბილისიდან აღნიშნავს, რომ აღმასრულებლებთან კომუნიკაციის პრობლემები ჰქონიათ. იმისთვის, რომ ინფორმაცია მიეღოთ კონკრეტული საქმის სტატუსთან დაკავშირებით, ინდივიდუალურ აღმასრულებელთან შეხვედრის დანიშვნა უწევდათ. რესპოდენტები ისურვებდნენ, რომ მათთან კომუნიკაცია უფრო მარტივი იყოს და არსებობდეს ონლაინ კონსულტაციები. ზოგიერთი მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ

აღმასრულებლები ხშირად უმოქმედონი არიან, რის შედეგადაც ბიზნესს უწევს, დამოუკიდებლად გამოიძიოს და ადევნოს თვალყური საქმეს.

ყადაღის დადება

მსხვილი და საშუალო ბიზნესის ზოგიერთი წარმომადგენელი თბილისიდან იხსენებს შემთხვევებს, როცა სასამართლომ ყადაღის დადების განჩინება გამოსცა და რომელმაც ეფექტურად იმუშავა. თუმცა, მათი აზრით, სიტუაცია შეიცვალა და დღეს სასამართლოები ყადაღის დადებას ერიდებიან, რამაც გადაწყვეტილებების აღსრულების შანსები შეამცირა: „იყო პერიოდი, როდესაც ძალიან აქტიურად იყენებდა სასამართლო ყადაღას და ეს ძალიან ქმედითი იყო იმიტომ, რომ ყადაღა რომ ედებოდა ეხლა, შპს-ს ანგარიშს, რომ დაუყადაღებს, რა თქმა უნდა, მისი პირველი რეაგირება არის, რომ მან როგორღაც ეს თანხა გადაიხადოს, რომ მან გააგრძელოს მუშაობა იმიტომ, რომ ბანკში ანგარიში ყველა მოქმედ ბიზნესს სჭირდება. ბოლო პერიოდში, აი, შარშანდლიდან დაწყებული, პრაქტიკა არის უკვე ისეთი, რომ მქონია შეტანილი და არ დამიკმაყოფილა“ (საშუალო ბიზნესი, ღვინის წარმოების სექტორი, ოპერირებს კახეთში და გაყიდვებს აწარმოებს საქართველოში, სასამართლო გამოცდილებით ბოლო ხუთი წლის მანძილზე). მცირე ბიზნესის ზოგიერთ წარმომადგენელს განსხვავებული გამოცდილება აქვს ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს განჩინებასთან დაკავშირებით და უსამართლოდ მიიჩნევს მას, რადგან საბანკო ანგარიში სჭირდებათ იმისთვის, რომ გამოიმუშავონ და გადაიხადონ სადავო თანხა. ერთ-ერთი მონაწილე აცხადებს: „რაღაცა საშუალება ჰქონდეს ადამიანს მოძრაობის და იმ ჯარიმის, თუ თანხის გადახდის, რის გამოც ყადაღა დაედო. რაღაცა საშუალებები უნდა ჰქონდეს, რომ ის თანხა შეაგროვოს, თუ მთლად დაგიყადაღეს ყველაფერი და არსაიდან არაფრის გაკეთების უნარი აღარ გექნება, რა თქმა უნდა, ვერ გადაიხდი იმ ჯარიმას“ (მცირე ბიზნესი, აღმოსავლეთ საქართველო).

მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი კვების სექტორიდან 53 000 ლარის ღირებულების დავას აღწერს, რომლის წარმოებისას სასამართლოს ყადაღის დადება სთხოვეს, რომ გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი დროულად დაწყებულიყო. როგორც წესი, განჩინების გაცემას 24 საათი სჭირდება, თუმცა, განჩინება მოსამართლის თანაშემწესთან სამდღიანი უწყვეტი კომუნიკაციის შემდეგ გამოიცა: „არგუმენტი სასამართლოდან იყო ის, რომ მოსამართლეს ძალიან ბევრი საქმე აქვს. თვითონ განჩინებას, რა თქმა უნდა, ეწერა ის თარიღი, რა თარიღიც უნდა წერებოდა, ვითომ ერთ დღეში გასცა ის, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე. ეს ფაქტობრივად ბიზნეს სექტორს აზარალებს იმიტომ, რომ სამი დღის ვადაში, შეიძლება ქონება გაასხვისო, შეერწყა, რა ვიცი, ყველაფერი გააკეთო“ (მსხვილი ბიზნესი, საკვების წარმოება, საცალო გაყიდვები, ოპერირებს საქართველოში).

ერთ-ერთი მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ მოძრავ ქონებასთან დაკავშირებული სარჩელის უზრუნველყოფის განჩინება პრობლემურია, რადგანაც მომსახურების სააგენტოსგან საჭიროა მოძრავი ქონების ჩამონათვალი, რომლის მიღებაც მესაკუთრის თანხმობის გარეშე არ შეუძლიათ. რესპოდენტი ამბობს: „როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ, ვინმე მესაკუთრემ მომცეს თანხმობა იმის შესახებ, ინფორმაცია გამოიძიო, რომ მერე იმაზე ყადაღა დავადო, ეს უკვე აბსურდია, ხო? ჩვენი სექტორისთვის ეს, კანონით გათვალისწინებული უფლება, უკვე ყველანაირად შეზღუდულია, ყველანაირ

აზრს კარგავს, ფაქტიურად მოძრავ ქონებაზე უზრუნველყოფას ვეღარ ვითხოვთ“ (მსხვილი ბიზნესი, ფარმაცევტული კომპანია, ოპერირებს საქართველოში).

სარჩელის ქონებით უზრუნველყოფის სასამართლო განჩინებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბრობენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც. რესპოდენტების განმარტებით, სასამართლო მხედველობაში იღებს ქვეყანაში არსებულ სოციალურ სიტუაციას და საბანკო ანგარიშებზე ყადაღას თითქმის არასდროს თანხმდება. კიდევ უფრო პრობლემურია ორი ათას ლარს ქვემოთ სესხები, რადგან ამ შემთხვევაში სასამართლო ყადაღის დადების საკითხს საერთოდ არ განიხილავს. შედეგად კი, ზოგიერთი კლიენტი არ იხდის სესხს. შესაბამისად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სასამართლოსთვის მიმართვისგან თავს იკავებენ.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები

- კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ბიზნესების უმრავლესობას ინფორმაცია არბიტრაჟის ან სასამართლო მედიაციის შესახებ არ აქვს. საშუალო ზომის ბიზნესები უფრო მეტად იცნობენ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებს, ვიდრე მსხვილი და მცირე ბიზნესები;
- ბიზნესის წარმომადგენლების უმეტესობამ ვერ შეაფასა ნდობა არბიტრაჟისა და სასამართლო მედიაციის მიმართ. ბიზნესების დაახლოებით მეხუთედი აცხადებს, რომ არბიტრაჟსა და სასამართლო მედიაციას სრულად ან ნაწილობრივ ენდობა;
- თვისებრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ თბილისის ფარგლებს გარეთ მყოფ ბიზნესებს ინფორმაცია არბიტრაჟისა და მედიაციის შესახებ არ აქვთ. ზოგიერთი მათგანი არ ენდობა არბიტრაჟის ინსტიტუტს, რადგან მოელის, რომ არბიტრაჟი მსხვილი ბიზნესის სასარგებლოდ მიიღებს გადაწყვეტილებას;
- მსხვილი და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისა და თბილისში იურისტების მოსაზრებები არბიტრაჟთან დაკავშირებით გაიყო. ზოგიერთი მათგანი უარყოფითად აფასებს არბიტრაჟს, რადგანაც არბიტრაჟის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ უნდა სცნოს და უზრუნველყოს მისი აღსრულება, რაც პროცესს დროში აჭიანურებს. შედეგად, ზოგიერთი ბიზნესი არბიტრაჟის გამოყენებაზე უარს ამბობს;
- მსხვილი ბიზნესის ზოგიერთი წარმომადგენელი არბიტრაჟს არ ენდობა და ფიქრობს, რომ მიკერძოებული იქნება იმ კომპანიის მიმართ, რომელიც არბიტრაჟის ფირმას ფლობს;
- მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ისეთ საქმეებში, სადაც საჭიროა პრაქტიკის შეცვლა, რაც არც თუ ისე იშვიათია, არბიტრაჟი არაეფექტურია. რესპოდენტები ამბობენ, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილებები ხშირად უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს ეფუძნება. თუმცა, ბიზნესის აზრით, ზოგჯერ ეს გადაწყვეტილებები მანკიერია და სურვილი აქვთ, პრაქტიკის შესაცვლელად კონსტიტუციურ სასამართლოს მიმართონ;
- იურისტები დადებითად არიან განწყობილი არბიტრაჟის მიმართ, რადგან, მათი აზრით, არბიტრაჟი დროს ზოგავს მაშინაც კი, როცა საქმეში სასამართლოა ჩართული. ასევე მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია უფრო კვალიფიციური არბიტრის შერჩევა;
- რაც შეეხება მედიაციას, მსხვილი და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლები ამბობენ, რომ თავისთავად

იყენებენ მედიაციას, რადგან დავის მოგვარებას ყოველთვის მოლაპარაკებით ცდილობენ. შესაბამისად, იშვიათად აქვთ საჭიროება, რომ სასამართლო მედიაციას მიმართონ;

- ზოგიერთ საშუალო ბიზნესს თბილისში და იურისტს მედიაციის ნეგატიური გამოცდილება აქვთ, ვინაიდან მათ სასამართლოში წასვლა მაინც მოუწიათ. შედეგად, მათი პროცესი იმაზე უფრო ხანგრძლივი გამოვიდა, ვიდრე ეს მედიაციის გარეშე მოხდებოდა.

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს სთხოვდნენ, შეეფასებინათ დავის ალტერნატიული მექანიზმების მუშაობა. ბიზნესების უმეტესობას არბიტრაჟისა (68%) და სასამართლო მედიაციის (66%) შესახებ ინფორმაცია არ აქვს. მხოლოდ 1% აცხადებს, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე გამოუყენებია არბიტრაჟი და მხოლოდ 2% ამბობს, რომ გამოუყენებია სასამართლო მედიაციის სერვისი (იხ. დიაგრამა 11).

საინტერესოა, რომ მცირე და მსხვილი ბიზნესების უფრო დიდ წილს არ აქვს ინფორმაცია არბიტრაჟის შესახებ (70% და 61%, შესაბამისად), ვიდრე საშუალო ბიზნესებს (45%). ბიზნესების 13% არბიტრაჟის მუშაობას საშუალოდ აფასებს, 8% - დადებითად, ხოლო 3% ფიქრობს, რომ არბიტრაჟი ცუდად მუშაობს. მცირე და მსხვილი ბიზნესების უფრო დიდ წილს არ აქვს ინფორმაცია სასამართლო მედიაციის შესახებ (68% და 54%, შესაბამისად), ვიდრე საშუალო ბიზნესს (39%). ბიზნესის წარმომადგენლების 15% სასამართლო მედიაციის მუშაობას საშუალოდ აფასებს, 9% ფიქრობს, რომ სასამართლო მედიაცია კარგად მუშაობს, ხოლო 3%-ს მიაჩნია, რომ სასამართლო მედიაცია ცუდად მუშაობს (იხ. დიაგრამა 12).

დიაგრამა 12: დავის გადაჭრის ალტერნატიული მექანიზმების მუშაობის შეფასება



ვინაიდან ბიზნესების უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია დავის ალტერნატული გადაწყვეტის მექანიზმების შესახებ, ისინი ვერ აფასებენ ნდობას არბიტრაჟისა და სასამართლო მედიაციის მიმართ. ბიზნესის წარმომადგენლების მეხუთედი (20%) ნაწილობრივ ან სრულ ნდობას უცხადებს არბიტრაჟს, ხოლო 6% ნაწილობრივ ან სრულ უნდობლობას გამოხატავს. ამის მსგავსად, ბიზნესის წარმომადგენლების 22% სასამართლო მედიაციას ნაწილობრივ ან სრულად ენდობა, ხოლო 6% ნაწილობრივ ან სრულ უნდობლობას უცხადებს (იხ. დიაგრამა 13).

დიაგრამა 13: ნდობა დავის გადაჭრის ალტერნატიული მექანიზმების მიმართ



თბილისს გარეთ მყოფ საშუალო და მცირე ბიზნესის ძირითად ნაწილს, რომელიც თვისებრივ კვლევაში იღებდა მონაწილეობას, ინფორმაცია არბიტრაჟის ან მედიაციის შესახებ არ აქვს. ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე, ინდივიდუალური მეწარმე უნდობლობას გამოხატავს ამ ინსტიტუტის მიმართ და ამბობს, რომ ისეთ ხელშეკრულებას, რომელშიც არბიტრაჟი იქნებოდა ნახსენები, ხელს არ მოაწერდა. კიდევ ერთი მცირე ბიზნესის წარმომადგენელი სამეგრელოდან უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს არბიტრაჟისადმი და სჯერა, რომ „სასამართლო არბიტრაჟის დავებს ნაწილობრივ კი არა, სადღაც 80 პროცენტს აგვარებს მეწარმე სუბიექტის სასარგებლოდ“ (მცირე ბიზნესი, ოპერირებს ზუგდიდში, სასამართლო გამოცდილების გარეშე ბოლო ხუთი წლის მანძილზე).

ფოკუს ჯგუფებში ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, რომლებსაც ზოგადად დადებითი დამოკიდებულება აქვთ არბიტრაჟისადმი და ეფექტურ მექანიზმად მიიჩნევენ საქმის სწრაფად გადაწყვეტისთვის. თუმცა, აღნიშნავენ, რომ იგი ფართოდ არ გამოიყენება საქართველოში. თბილისს გარეთ მყოფი ბიზნესის წარმომადგენლები ასევე დადებითად აფასებენ მედიაციას. თუმცა, რესპოდენტებს გამოუცდიათ მხოლოდ შემოსავლების სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს მედიაციის მექანიზმი და არა - სასამართლო მედიაცია.

მსხვილ და საშუალო ბიზნესს და ასევე იურისტებს თბილისში არბიტრაჟის გამოყენების უფრო მეტი გამოცდილება აქვთ. ზოგიერთი მათგანი არბიტრაჟის ინსტიტუტს

უარყოფითად აფასებს, რადგანაც არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობა და მისი აღსრულება სააპელაციო სასამართლოს ჩართულობით უნდა მოხდეს, რაც პროცესს ახანგრძლივებს. იურისტი თბილისიდან ამბობს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების არცერთი სააღსრულებო დოკუმენტი სააპელაციო სასამართლოს მისთვის ორ წელზე ნაკლებ დროში არ ჩაუბარებია. ერთადერთი გამონაკლისი იყო, როცა მოსამართლემ სააღსრულებლო დოკუმენტის ასლი წელიწად-ნახევარში გადასცა: „ეს ხვდებით, რამდენად კატასტროფაა, რომ წელიწადნახევარში მომცა არბიტრაჟის მიერ ათ დღეში მიღებული გადაწყვეტილების ასლი?" (საშუალო ბიზნესი, ღვინის წარმოების სექტორი, ოპერირებს კახეთში, გაყიდვებს აწარმოებს საქართველოში, სასამართლო გამოცდილებით ბოლო ხუთი წლის მანძილზე). მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი ამბობს, რომ გადაწყვეტილების აღსრულებას მეორე ინსტანციაში შესაძლოა, ოთხ წლამდე დასჭირდეს. ზოგიერთი მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი ამბობს, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულების სასამართლოსთან მიბმამ არბიტრაჟი ნაკლებ მიმზიდველად აქცია და შეწყვიტეს მისი გამოყენება. თვლიან, რომ არბიტრაჟი დავის გადაწყვეტისთვის სწრაფი მექანიზმი არ არის და თან ძალიან ძვირი ჯდება. ზოგიერთი რესპონდენტი არ ენდობა არბიტრაჟს, განსაკუთრებით მაშინ, როცა კომპანია თავის საარბიტრაჟო ფირმას ფლობს. რესპოდენტის განცხადებით: „როდესაც კომპანიას ჰყავს თავისი არბიტრაჟი და დავის შემთხვევაში უნდა წავიდეთ ამ არბიტრაჟში, რა საფუძველი მაქვს, რომ ვენდო? ეს ხომ არ არის ტერიტორიულობის პრინციპი" (მსხვილი ბიზნესი, ფარმაცევტული კომპანია, ოპერირებს საქართველოში). რესპოდენტი აქვე განმარტავს, ორივე: არბიტრიც და მოსამართლეც შეიძლება, იყოს მიკერძოებული. თუმცა, სასამართლოს მეტი იურიდიული საზღვრები აქვს, შესაბამისად, ის უფრო მეტად სანდოა.

არბიტრაჟთან დაკავშირებული კიდევ ერთი პრობლემა, რაზეც ყურადღება მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებმა გაამახვილეს, პრაქტიკის დადგენაა. რესპოდენტების თქმით, ყველა არბიტრაჟი საქართველოში უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას იყენებს, მოგვიანებით თავისი გადაწყვეტილების აღიარებისა და აღსრულების უზრუნველსაყოფად. რამდენადაც საქართველო განვითარებადი სამართლის ქვეყანაა, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა განუჭვრეტელობაა, ვინაიდან შეიძლება, არასწორი პრაქტიკა არსებობდეს: „შეიძლება არსებობდეს პრაქტიკა, რომელიც ჩვენთვის არ არის ხელსაყრელი, მანკიერია. გვინდა, რო ეს პრაქტიკა შევცვალოთ, ამ პრაქტიკას ვერასოდეს ჩვენ არბიტრაჟში ვერ შევცვლით" (მსხვილი ბიზნესი, საბანკო სექტორი, ოპერირებს საქართველოში).

ადვოკატები თბილისის ფოკუს ჯგუფში ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ინვესტორებმა იციან, რომ სასამართლო სანდო არ არის. შედეგად, ისინი არბიტრაჟს ამჯობინებენ. თუმცა, სასამართლო საქმეების ხანგრძლივი ვადები არბიტრაჟის განვითარებასაც აფერხებს. ამასთან დაკავშირებით რესპოდენტები ხაზს უსვამენ, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას დაახლოებით ორი წელი სჭირდება, რადგანაც ეს პროცესი სასამართლოს გავლით ხდება. ადვოკატი აცხადებს: „მოტივაცია მოკვდება ამით, არბიტრაჟში რატომ წავიდე. კარგი, მიიღებს სამ დღეში არბიტრაჟი გადაწყვეტილებას და ორი წელი უნდა ველოდო ისევ მის ცნობა-აღსრულებას" (ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენელი). გარდა ამისა, ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო ხშირად ერევა არბიტრაჟის კომპეტენციაში: „თვლიან, რომ მოსამართლეებს მოსხმული აქვთ სოციალური სამართლიანობის ქალღმერთების მანტია და ამ მანტიის ქვეშ ცდილობენ, რომ გადაწყვიტონ ყველა დავა, არა კანონიერების პრინციპის დაცვით, არა თუნდაც სამართლიანობის პრინციპის

დაცვით, არამედ ვის უფრო მეტი ფული აქვს, თუ დიდი კომპანია ხარ, ესე იგი ტყუიხარ“. მან ასევე ისაუბრა შემთხვევის შესახებ, როდესაც კომპანიის დირექტორი, რომელსაც ბანკის ვალი ჰქონდა, არ იხდიდა და თავს იმით იმართლებდა, რომ კონტრაქტზე ხელის მოწერისას გამოუცდელი იყო. სასამართლომ კი ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე მისი სიტყვები მიიღო: „ფიზიკურ პირზე არ ვამბობ, კომპანიის დირექტორს უთხრა, რომ კარგიო, მაშინ არ გაქვს ეს თანხა გადასახდელიო“ (ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენელი).

იურისტებს არბიტრაჟის მიმართ უფრო პოზიტიური დამოკიდებულებები აქვთ. მათი აზრით, არბიტრაჟი მრავალწლიანი დავებს გამორიცხავს. ასევე, აღნიშნავენ, რომ არბიტრების კვალიფიკაცია იზრდება. ერთ-ერთი ადვოკატი ამბობს: „ვეუბნები ჩემს კლიენტს, პირობითად, შენ დავა ვინ გირჩევნია განიხილოს, ღმერთმა იცის რომელმა მოსამართლემ, თუ, აი, ამ სიაში ვინც არიან, მიუკერძოებელი, კარგი რეპუტაციის მქონე. კვალიფიკაცია და „თაიმინგში“ არბიტრაჟი ჯობს. იმ მომენტს გამორიცხავს, აი, „წადი ძმაო მიჩივლე, აბა“, ეტყვი, რომ სამ-ოთხ თვეში მოვალ შენთან… არ დასჭირდება ამას იმდენი დრო, რამდენიც სჭირდება სასამართლოს სამ ინსტანციას, ერთ ინსტანციას რა დროც სჭირდება - ის“ (იურიდიული ფირმა, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია).

რაც შეეხება მედიაციას, ზოგიერთი მსხვილი ბიზნესი აღნიშნავს, რომ თუკი მათ დავებში მედიაციის სივრცე რჩება, მათსავე ინტერესშია, რომ გამოიყენონ. როცა შესაძლებელია, ყოველთვის ცდილობენ შეთანხმების მიღწევას. ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ მათთვის სასამართლო მედიაცია აზრს მოკლებულია, ვინაიდან მორიგებას თავადაც ცდილობენ: „ჩვენ სასამართლოში არ მივდივართ იქამდე, სანამ ყველანაირ რესურსს არ ამოვწურავთ და თუ ვხვდებით, უკვე რომ მორიგებას აზრი არ აქვს და ვერ მოვრიგდებით, მედიაციასაც აზრი აღარ აქვს“ (მსხვილი ბიზნესი, ფარმაცევტული კომპანია, ოპერირებს საქართველოში). მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მსგავსი შეხედულებები აქვთ მედიაციის შესახებ. მათი თქმით, თავადაც იყენებენ მედიაციის ელემენტებს: „იმ კატეგორიის საქმეებზე, რომელსაც შეიძლება, ჩვენ ვაწარმოებდეთ, ვფიქრობ, რომ არ არის ეფექტური. მედიაციის ელემენტები, ჩვენი შიდა შესაძლებლობები და რესურსები, მე ვფიქრობ, რომ საკმარისია იმისთვის, რომ მომხმარებელი დავარწმუნოთ იმაში, რომ ნებაყოფლობით შეასრულოს ვალდებულება. მედიაციის ეფექტი მეტი არაფერი არ არის. ჩვენ ვცადეთ მედიაციები პრაქტიკაში, მაგრამ არ გაამართლა ამ ყველაფერმა“ (მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ოპერირებს საქართველოში)

ზოგიერთი საშუალო ბიზნესის წარმომადგენელს თბილისში და ასევე, იურისტებს მედიაციის გამოყენების უარყოფითი გამოცდილება აქვთ, ვინაიდან მედიაციის საშუალებით ვერ მოახერხეს პრობლემის გადაჭრა. შედეგად, საქმის სასამართლოში შეტანა მოუწიათ: „მქონდა რამდენიმე შემთხვევა და, სამწუხაროდ, დასრულდა უშედეგოდ, დაიკარგა უამრავი დრო. პირიქით, აი, პირდაპირ გეტყვით, რომ ორი წელი დაიკარგა, დავბრუნდით ისევ სასამართლოში“ (საშუალო და მსხვილი ბიზნესის იურიდიული კონსულტანტი, თბილისი). ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ზოგჯერ მედიაცია არაკეთილსინდისიერი მხარის მიერ დროის გაყვანის მექანიზმადაა გამოყენებული: „არაკეთილსინდისიერი მხარე ამას [მედიაციას] იყენებს უბრალოდ დროის გაყვანის მექანიზმის სახით, რათა უფრო გააჭიანუროს და მისთვის სასურველი შედეგის დადგომა გადაავადოს“ (ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენელი).

დასკვნა

საერთო ჯამში, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ბიზნესის დამოკიდებულება მართლმსაჯულების მიმართ საკმაოდ პოზიტიურია. მაშინ როცა 40% სასამართლოს მუშაობას საშუალოდ აფასებს (ერთადერთი კითხვა, რომელიც გაზომილი იყო ხუთქულიან სკალაზე), მათი უმრავლესობა სასამართლოსადმი ნდობის კითხვას დადებითად პასუხობს ისევე, როგორც დადებითად აფასებს მოსამართლეების კომპეტენციასა და დამოუკიდებლობის ხარისხს. თუმცა, ფოკუს ჯგუფებსა და სიღრმისეულ ინტერვიუებში უფრო კრიტიკული მოსაზრებები გაჟღერდა. მათი შეფასებები ხშირად იმის მიხედვით განსხვავდებოდა, თუ რის შესახებ იყო საქმე და ვინ წარმოადგენდა მხარეს ამ საქმეში.

განსხვავებები რაოდენობრივი გამოკითხვისა და თვისებრივი კვლევის შედეგებში შემდეგნაირად შეიძლება აიხსნას: (1) ბიზნესები თავს არიდებენ კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმას ტელეფონის საშუალებით და (2) შესაძლოა, გამოკითხვის რესპოდენტები განსხვავდებოდნენ თვისებრივი კვლევის რესპონდენტებისგან, რადგან რაოდენობრივი გამოკითხვაში საქართველოში არსებული ყველა ბიზნესიდან შემთხვევითად შერჩეული რესპოდენტები იღებდნენ მონაწილეობას, ხოლო თვისებრივი კვლევის ნაწილში სასამართლო გამოცდილების მქონე ბიზნესების შერჩევა ხდებოდა.

გამოკითხვაში მიღებული დადებითი შეფასებებისგან განსხვავებით, სიღრმისეული ინტერვიუებსა და ფოკუს ჯგუფებში მონაწილეები მოსამართლეების დამოუკიდებლობის საკითხისადმი წუხილს გამოთქვამენ და ბიზნეს დავებსა და კომერციულ სამართალში მათ კომპეტენციას აკრიტიკებენ. ისინი ასევე საუბრობენ გავლენიან კლანზე სასამართლო სისტემაში და პრობლემაზე, რომ სასამართლო ინსტანციები სახელმწიფოს მხარეს იჭერენ, განსაკუთრებით, მსხვილი კომერციული დავების დროს. მონაწილეები თვლიან, რომ მოსამართლეები თავიანთი კოლეგების, ნათესავებისა და მეზობლების ინტერესებს ითვალისწინებენ, რის შედეგადაც სუბიექტურ გადაწყვეტილებებს იღებენ. მსხვილი და საშუალო ბიზნესი თბილისში ასევე საუბრობს იმის შესახებ, რომ სასამართლო შრომით დავებში და ასევე, სხვა სახის ისეთ დავებში, სადაც მსხვილი კომპანიაა ჩართული, „სუსტის“ მხარეს იკავებს, მიუხედავად იმისა, თუ რა ჩაიდინეს. გარდა ამისა, რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ მოსამართლეები ხშირად მათ შერცხვენას ცდილობენ იმის გამო, რომ რამდენიმე ათასი ლარის ამოსაღებად სასამართლოს მიმართეს.

კვლევის ფარგლებში ყველაზე ხშირად დასახელებულ დაბრკოლებებს შორის, რომელსაც ბიზნესი სასამართლო სისტემაში აწყდება, სასამართლო პროცესების ხანგრძლივობა და თანმხლები პროცესების გადადება იყო. ბიზნესების განცხადებით, სასამართლოში საქმის წარმოებას საშუალოდ სამი წელი სჭირდება. რესპოდენტები ასევე იხსენებენ შემთხვევებს, როცა საქმე ცხრა და მეტ წელს გაგრძელდა. რესპოდენტების თანახმად, საქმის განხილვის ვადებთან დაკავშირებული პრობლემები ბიზნესისთვის სასამართლოს არაეფექტურს ხდის. ხშირად ისინი ვერ ახერხებენ, სადავო თანხის ამოღებას, ან დროთა განმავლობაში

კარგავენ თანხას ვალუტის რყევების და მონეტარული დევალვაციის გამო. ყოფილა შემთხვევები, როცა სამართალის მოლოდინში მხარე გარდაცვლილა. თვისებრივი კვლევის მონაწილეები ასევე განიხილავენ პრობლემებს, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას უკავშირდება და რომელსაც კომერციულ ორგანოებსა და ინდივიდებს შორის არაკეთილსინდისიერ ქცევამდე მივყავართ. კერძოდ, ისინი სასამართლო პროცესებსა და აღსრულებას აჭიანურებენ, რათა თავიდან აიცილონ გადახდა და დაელოდონ ინფლაციისგან დავის ღირებულების შემცირებას.

ბიზნესის წარმომადგენლები სასამართლო სისტემას იმის გამო აკრიტიკებენ, რომ სასამართლოს ნაკლებად ესმის, თუ როგორ ოპერირებს ბიზნესი და უგულებელყოფენ ბიზნესის ინტერესებს, არ აფასებენ მათ დროსა და ფულს. თვისებრივ კვლევაში მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ზოგიერთი სასამართლო პრობლემა სისტემის დახურულობითაა გამოწვეული. პრობლემების გამომწვევ მიზეზად, ასევე, მოსამართლეებისთვის ნაკლებ სოციალურ გარანტიებსა და მათი ანგარიშვალდებულების ნაკლებობას ასახელებენ.

თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში დავის ყველა სფეროში ვიწრო სპეციალიზაცია განხორციელდა. თუმცა, საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები თბილისის ფარგლებს გარეთ ინფორმაციას კომერციული პალატის ან კომერციულ დავებში მოსამართლეების ვიწრო სპეციალიზაციის შესახებ არ ფლობენ. საშუალო ბიზნესები თბილისში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, მსხვილი ბიზნესები თვლიან, რომ ამ რეფორმას რამდენიმე სარგებელი მოაქვს, რაც 500 000 ლარზე მეტი ღირებულების საქმის სწრაფ გადაწყვეტას და მოსამართლეთა მცირე ჯგუფის ფარგლებში პრაქტიკის შექმნის შესაძლებლობას გულისხმობს. თუმცა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლები მათი დავების მუდმივ პრობლემაზე საუბრობენ, რაც მოსამართლეების მცირე რაოდენობის მიერ საქმეების განხილვას და შესაბამისად განსახილველი ვადების გახანგრძლივებას გულისხმობს. რესპონდენტების ნაწილი მოსამართლეების კვალიფიკაციითაც უკმაყოფილოა, რასაც მათ ხშირ როტაციას უკავშირებენ. მათი აზრით, ეს მიდგომა მოსამართლეებს ვიწრო სპეციალიზაციის მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობას უზღუდავს.

გარდა ამისა, სასამართლო სისტემაში ბიზნესის გამოცდილებების და ხედვების შესასწავლად კვლევა სასამართლო სისტემაში კორუფციის საკითხის აღქმასაც შეეხებოდა. რესპონდენტთა მცირე ნაწილი სასამართლო სისტემაში კორუფციის არსებობაზე მიუთითებს. მსხვილი და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები თბილისში სასამართლოებში გავლენებზე საუბრობენ, რაშიც ისინი გავლენიანი მოსამართლეების და ბიზნესების ერთმანეთთან თანამშრომლობას გულისხმობენ. ასევე, განმარტავენ, რომ თუ მსხვილი კომერციული საქმე მოკლე დროში განიხილება, ეს დამოუკიდებლობის ხარისხის ნაკლებობაზე ან კორუფციაზე მიუთითებს.

შეხედულებები იმის შესახებ, სასამართლოს სისტემის ამჟამინდელი მდგომარეობა დადებით თუ უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე, უცხოელი ინვესტორების მოზიდვასა და ადგილობრივი ბიზნესის სფეროების გაფართოვებაზე, რაოდენობრივ გამოკითხვაში გაიყო. ამავდროულად თვისებრივი კვლევის თითქმის ყველა მონაწილე აცხადებს, რომ სასამართლოების ამჟამინდელ მდგომარეობას ქვეყნის ეკონომიკასა და ბიზნესის განვითარებაზე უარყოფითი გავლენა აქვს. რესპოდენტები განმარტავენ, რომ ეს სიტუაცია ინვესტორებისთვისაც ნათელია. ერთ-ერთი რესპოდენტი აღწერს, თუ როგორ ზრდის საპროცენტო განაკვეთს სასამართლო გადაწყვეტილებების ნელი წარმოება.

თბილისის ფარგლებს გარეთ მყოფი მცირე ბიზნესის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დროში გაწელილი და გადადებული პროცესების გამო, მსხვილი კომპანიები ხელში იგდებენ მცირე ბიზნესებს, რაც საბოლოო ჯამში ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ ბიზნესების მხოლოდ 8%-ს ჰქონია საქმე სასამართლოში ბოლო ხუთი წლის მანძილზე. საშუალო და მსხვილი ბიზნესების უფრო დიდ წილს აქვს სასამართლო გამოცდილება, ვიდრე მცირე ბიზნესებს. ეს შედეგები განმეორდა ფოკუს ჯგუფებსა და სიღრმისეული ინტერვიუების დროს, მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს ნაკლები ინფორმაცია და ინტერესი ჰქონდათ სასამართლო სისტემისადმი.

ბოლოს ხუთი წლის მანძილზე ბიზნესების უმეტესობას არ ჰქონია სასამართლოსთვის მიმართვის საჭიროება. ბიზნესების მხოლოდ 5% აცხადებს, რომ ჰქონდა საჭიროება, რომ მიემართა სასამართლოსთვის, თუმცა, სასამართლო პროცესების ხანგრძლივობისა და მაღალი ბაჟის გამო არ მიმართეს. თვისებრივი კვლევის შედეგების თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემები კიდევ ერთი მიზეზია, რის გამოც ბიზნესი სასამართლოში წასვლისგან თავს იკავებს.

მსხვილი ბიზნესისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ასევე იურისტები თვლიან, რომ პანდემიის დადებითი შედეგია ონლაინ პროცესების არსებობა. გადადებული პროცესები კი პანდემიის უარყოფით ეფექტად დასახელდა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ პანდემიამ უარყოფითად იმოქმედა აღსრულების პროცესზეც, ვინაიდან აღმასრულებლებს შესაფასებლად საკუთრებაში შესვლის უფლება არ ჰქონდათ და მხოლოდ სატელეფონო ზარის განხორციელება შეეძლოთ.

ბიზნესების მხოლოდ მეათედი ფიქრობს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება დროულად ხდება. ნახევარს არასდროს ქონია კავშირი აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან. უმეტესობას კი არასდროს ჰქონია კონტაქტი კერძო აღმასრულებელ ინსტიტუტთან.

მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები, იურისტები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წარმომადგენლები გადაწყვეტილების აღსრულებაში მნიშვნელოვან შეფერხებებზე საუბრობენ. მსხვილი ბიზნესის ზოგიერთი წარმომადგენელი ხაზს უსვამს, რომ აღსრულება განსაკუთრებით პრობლემურია თბილისის ფარგლებს გარეთ, რის გამოც ზოგიერთი მსხვილი ბიზნესი და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია აღსრულების კერძო სერვისს მიმართავს.

რესპონდენტები სარჩელის ქონებით უზრუნველყოფის განჩინებასთან დაკავშირებულ პრობლემებზეც საუბრობენ. მათი განმარტებით, სასამართლო თითქმის არასდროს ადებს ყადაღას საბანკო ანგარიშებს და სარჩელის უზრუნველყოფის განჩინებას აგვიანებს. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები თბილისის ფარგლებს გარეთ მიიჩნევენ, რომ ყადაღის დადება საბანკო ანგარიშებზე უსამართლოა, ვინაიდან ეს მათთვის ჯარიმებისა და ვალების გადახდას ართულებს.

მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი სარჩელის მოძრავი ქონებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ პრობლემებზეც მიუთითებს, რომელსაც კომპანიები სასამართლოსთვის ქონების ნუსხის წარდგენის გარეშე ვერ განახორციელებენ. ამ ინფორმაციის მიღება კი მხოლოდ ქონების მფლობელის თანხმობის შემთხვევაშია შესაძლებელი. რესპონდენტების აზრით, ეს მიდგომა სასამართლო განჩინებას სარჩელის მოძრავი ქონებით უზრუნველყოფის შესახებ აზრს უკარგავს.

ბიზნესების უმრავლესობას ინფორმაცია არბიტრაჟისა და სასამართლოს მედიაციის შესახებ არ აქვს. მცირე და მსხვილი ბიზნესის უფრო დიდ წილს არ აქვს ინფორმაცია აღნიშნული მექანიზმების შესახებ, ვიდრე საშუალო ბიზნესს. ბიზნესების წარმომადგენლების უმეტესობამ ვერ შეძლო, შეეფასებინა ნდობა არბიტრაჟისა და სასამართლო მედიაციისადმი. ბიზნესების დაახლოებით მეხუთედი გამოხატავს ნდობას არბიტრაჟის ინსტიტუტისა და სასამართლო მედიაციის მიმართ.

ამ შედეგებს იმეორებს ფოკუს ჯგუფები და სიღრმისეული ინტერვიუებიც. თბილისის ფარგლებს გარეთ მყოფი ბიზნესების უმეტესობა ინფორმაციას არბიტრაჟისა და სასამართლო მედიაციის შესახებ არ ფლობს. მსხვილ და საშუალო ბიზნესებს არ მოსწონთ ის ფაქტი, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება სააპელაციო სასამართლოსთანაა დაკავშირებული, რაც თავის მხრივ პროცესის გაჭიანურებას იწვევს. იურისტები დადებითად არიან განწყობილი დავის გადაჭრის ალტერნატიული მექანიზმების მიმართ, ვინაიდან დროს ზოგავს და საქმეს უფრო კვალიფიციური ადამიანები იხილავენ. მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ არბიტრაჟი არაეფექტურია ისეთ შემთხვევებში, როცა პრაქტიკის შეცვლა ხდება საჭირო, რაც საქართველოს სამართლებრივი სისტემის „ახალგაზრდობის“ გამო ხშირი მოვლენაა.

მსხვილი და საშუალო ბიზნესი თბილისში და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სასამართლო მედიაციას ეფექტურად არ მიიჩნევენ, რადგანაც ისინი ყველა შემთხვევაში

მხარესთან მოლაპარაკებას ცდილობენ. შესაბამისად, როდესაც სასამართლოს მიმართავენ, მათ საქმეებში სივრცე მედიაციისთვის დარჩენილი აღარ არის.

დანართი

დანართი 1: მეთოდოლოგია

2021 წლის მაისიდან ივლისის პირველი ნახევრის პერიოდში, CRRC-საქართველომ ბიზნესის ხედვების შესახებ მართლმსაჯულების შესახებ კვლევა ჩაატარა. კვლევა განხორციელდა USAID-ის პროგრამების: კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში და ეკონომიკური მმართველობის პროგრამა, მხარდაჭერით.

კვლევის მიზანს საქართველოში სასამართლოების მუშაობისა და სისტემისადმი ბიზნესების დამოკიდებულებების გამოვლენა, ბოლო ხუთი წლის მანძილზე მათი სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილების შესწავლა, და სხვა ისეთი სირთულეების იდენტიფიცირება წარმოადგენდა, რომელსაც შესაძლოა, ბიზნესი საქართველოში სასამართლო სისტემის არსებული მდგომარეობის გამო ხვდებოდეს.

დასახელებული კვლევითი კითხვების შესასწავლად, CRRC საქართველომ კვლევის შერეული მეთოდები გამოიყენა: (1) ბიზნესების რაოდენობრივი გამოკითხვა, (2) სიღრმისეული ინტერვიუები მსხვილი ბიზნესისა და საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის წარმომადგენლებთან, (3) ფოკუს ჯგუფები საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომდგენლებთან თბილისში, აჭარაში, სამეგრელოსა და აღმოსავლეთ საქართველოში და ასევე, მიკროსაფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან. ეს უკანასკნელი ცალკე ჯგუფად გამოიყო, სესხებთან დაკავშირებული სასამართლო საქმეების სიმრავლის გამო, რაც სასამართლოს საქმეებით გადატვირთულობას ხელს უწყობს.[5] გარდა ამისა, ინტერვიუებში მსხვილ ბიზნესებს შორის მონაწილეობას საქართველოში ორი მსხვილი ბანკის წარმომადგენელიც იღებდა.

(1) რაოდენობრივი გამოკითხვა 2021 წლის 16-30 ივნისის პერიოდში, კომპიუტერის მეშვეობით სატელეფონო გამოკითხვის (CATI) მეთოდით, ქართულ ენაზე ჩატარდა. კვლევისთვის ბიზნესები რეესტრიდან, სტრატიფიცირებული მარტივი შემთხვევითი შერჩევის გამოყენებით შეირჩა. რაოდენობრივი გამოკითხვის ფარგლებში სულ 1 301 ინტერვიუ ჩატარდა. მონაცემები საქართველოში ბიზნესების წარმომადგენლობითია, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ბიზნესების გარდა.

(2) სიღრმისეული ინტერვიუები მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებთან ჩატარდა. რესპონდენტები ძირითადად მსხვილი ბიზნესის იურისტები და იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელები იყვნენ (ხუთი ინტერვიუ). კვლევაში მონაწილე ბიზნესები სხვადასხვა სექტორს წარმოადგენდნენ: საბანკო, სამშენებლო, ფარმაცევტული, სავაჭრო სფეროები. გარდა ამისა, ინტერვიუებში მონაწილეობას საქართველოს

[5] სასამართლოს სტატისტიკის მიხედვით, 2020 წელს როგორც დასრულებული საქმეების (11, 520), ისე საანგარიშო პერიოდში დაუსრულებელი საქმეების (თითქმის 20 000 საქმე) ყველაზე დიდი წილი სესხთან დაკავშირებული დავებზე მოდიოდა. წყარო: https://tcc.court.ge/ka/Statistics

იურიდიული ფირმების ასოციაციის ხელმძღვანელებიც იღებდნენ (ორი ინტერვიუ). სიღრმისეული ინტერვიუები 2021 წლის მაისში ჩატარდა.

(3) ფოკუს ჯგუფები საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან თბილისში, აჭარაში, სამეგრელოსა და აღმოსავლეთ საქართველოში, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარდა. ეს უკანასკნელი სასამართლოში დიდი რაოდენობის საქმის წარმოების გამო შეირჩა. რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესს, მათი შერჩევის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილების ქონა იყო. თბილსს გარეთ სასამართლო გამოცდილების მქონე ბიზნესის პოვნა ძალიან რთული იყო, შესაბამისად, ფოკუს ჯგუფების მონაწილეების უმეტესობას სასამართლო გამოცდილება არ ჰქონია და ზოგად ცოდნასა და მედიასაშუალებებიდან, ასევე, ნაცნობებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მსჯელობდნენ. თბილისში საშუალო ბიზნესების წარმომადგენლები, ძირითადად, გამოცდილი იურისტები იყვნენ, რომლებიც კონკრეტულ ბიზნესს ან რამდენიმე ბიზნეს კომპანიას წარმოადგენდნენ. დისკუსიებში მონაწილეობას ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენელიც იღებდა.

დანართი 2: სიხშირეები და კროსტაბულაციები

i1. რა არის თქვენი კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა? (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)	0	4		0
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)	38	85	93	42
სააქციო საზოგადოება	1	4	4	1
კოოპერატივი	0		2	0
უცხოური საწარმოს ფილიალი	0			0
ინდივიდუალური მეწარმე	61	7	0	56
კომანდიტური საზოგადოება (კს)	0			0
არ ვიცი	0	0		0
უარი პასუხზე	0			0
სულ	100	100	100	100

I2. 2019 საანგარიშო წლის განმავლობაში, დაახლოებით რამდენი იყო თქვენი კომპანიის წლიური ბრუნვა? (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
100 000 ლარზე ნაკლები	22	10	3	21
100 000 – 250 000 ლარი	2	2	0	2
250 001 – 500 000 ლარი	0	3	3	1
500 001 – 1 500 000 ლარამდე	1	6	0	1
1,5 მილიონ ლარზე მეტი	0	4	21	1
არ ვიცი	68	68	48	67
უარი პასუხზე	7	6	23	7
სულ	100	100	100	100

i3. ბიზნეს სექტორი(%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და მეტყევეობა	1	0	0	1
თევზჭერა	0	0	0	0
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	0	1	1	0
მრეწველობა	7	7	11	7

ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის და წყლის მიწოდება	0	1	0	0
მშენებლობა	3	9	13	4
საბითუმო და საცალო ვაჭრობა, საავტომობილო საშუალებების, მოტოციკლების, პირადი მოხმარების და საოჯახო ნივთების შეკეთება	35	50	44	36
სასტუმროები და რესტორნები	3	3	2	3
ტრანსპორტი, ტვირთის გადაზიდვა და დასაწყობება	5	5	8	5
ფინანსური მომსახურება	1	0	0	1
უძრავი ქონება, გაქირავება და ბიზნეს აქტივები	8	9	9	8
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	0		2	0
განათლება	2	4	4	2
ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა	2	3		2
სხვა საზოგადოებრივი, სოციალური და პირადი მომსახურების აქტივობები	3	1	4	3
შინამეურნეობების საქმიანობები	0			0
ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები	0			0
უცნობია	29	6	0	27
სულ	100	100	100	100

I4. გთხოვთ, მითხრათ, საქართველოს რომელ რეგიონში/რეგიონებში საქმიანობს თქვენი ბიზნეს ორგანიზაცია? (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
თბილისი	39	51	55	40
აჭარა	10	11	12	10
გურია	2	1	3	2
სამეგრელო/ზემო სვანეთი	8	3	7	8
იმერეთი	14	6	8	13
რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი	1		3	1
შიდა ქართლი	6	3	11	6
სამცხე-ჯავახეთი	3	5	4	4
ქვემო ქართლი	7	6	11	7
მცხეთა-მთიანეთი	2	1	3	2
კახეთი	6	3	7	6
საქართველოს ყველა რეგიონში	4	12	14	4

საქართველოს ფარგლებს მიღმა	1	2	3	1

1. გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით სასამართლოების საქმიანობას საქართველოში? (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
ძალიან ცუდად	4	4	9	4
ცუდად	7	5	4	7
საშუალოდ	43	42	40	43
კარგად	23	17	25	23
ძალიან კარგად	3	9	5	4
არ ვიცი	19	23	18	19
უარი პასუხზე	0	0		0
სულ	100	100	100	100

2. გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ენდობით ან არ ენდობით სასამართლოებს საქართველოში? (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
საერთოდ არ ვენდობი	6	4	4	5
ნაწილობრივ არ ვენდობი	10	15	14	10
ნაწილობრივ ვენდობი	56	48	64	56
სრულად ვენდობი	17	25	10	17
არ ვიცი	11	7	8	11
უარი პასუხზე	1	0		1
სულ	100	100	100	100

3. გთხოვთ, მითხრათ, თქვენი აზრით, რამდენად კომპეტენტურები არიან მოსამართლეები დღეს საქართველოში? (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
ძალიან არაკომპეტენტური	4	4	0	3
ნაწილობრივ არაკომპეტენტური	9	9	12	9
ნაწილობრივ კომპეტენტური	51	54	57	51
ძალიან კომპეტენტური	13	16	9	13
არ ვიცი	23	16	20	23
უარი პასუხზე	0	0	1	0
სულ	100	100	100	100

4. გთხოვთ, მითხრათ, თქვენი აზრით, რამდენად დამოუკიდებლები არიან მოსამართლეები დღეს საქართველოში? (%)

	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
საერთოდ არ არიან დამოუკიდებლები	7	4	5	7
ნაწილობრივ არ არიან დამოუკიდებლები	12	16	7	12
ნაწილობრივ დამოუკიდებლები არიან	42	46	53	43
სრულად დამოუკიდებლები არიან	13	21	12	13
არ ვიცი	25	14	21	25
უარი პასუხზე	1	0	2	1
სულ	100	100	100	100

5_1. თქვენი აზრით, რამდენად დამოკიდებულები არიან მოსამართლეები დღეს საქართველოში მმართველ პარტიაზე? (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
სრულად დამოკიდებულები არიან	15	10	7	14
უფრო დამოკიდებულები არიან, ვიდრე არა	45	58	33	45
უფრო არ არიან დამოკიდებულები, ვიდრე არიან	14	16	20	14
საერთოდ არ არიან მათზე დამოკიდებულები	3	4	7	3
არ ვიცი	22	12	25	21
უარი პასუხზე	1		8	2
სულ	100	100	100	100

5_2. თქვენი აზრით, რამდენად დამოკიდებულები არიან მოსამართლეები დღეს საქართველოში ოპოზიციაზე (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
სრულად დამოკიდებულები არიან	1		1	1
უფრო დამოკიდებულები არიან, ვიდრე არა	19	13	12	18
უფრო არ არიან დამოკიდებულები, ვიდრე არიან	27	51	43	29
საერთოდ არ არიან მათზე დამოკიდებულები	21	17	24	20
არ ვიცი	31	20	21	30
უარი პასუხზე	1			1
სულ	100	100	100	100

5_3. თქვენი აზრით, რამდენად დამოკიდებულები არიან მოსამართლეები დღეს საქართველოში მსხვილ ბიზნესებზე (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
სრულად დამოკიდებულები არიან	6	7	6	6
უფრო დამოკიდებულები არიან, ვიდრე არა	34	23	42	33
უფრო არ არიან დამოკიდებულები, ვიდრე არიან	17	29	16	18
საერთოდ არ არიან მათზე დამოკიდებულები	7	21	16	8
არ ვიცი	36	17	20	34
უარი პასუხზე	0	3		0
სულ	100	100	100	100

5_4. თქვენი აზრით, რამდენად დამოკიდებულები არიან მოსამართლეები დღეს საქართველოში აღმასრულებელ ხელისუფლებაზე (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
სრულად დამოკიდებულები არიან	11	15	12	11
უფრო დამოკიდებულები არიან, ვიდრე არა	45	40	43	45
უფრო არ არიან დამოკიდებულები, ვიდრე არიან	13	21	10	14
საერთოდ არ არიან მათზე დამოკიდებულები	4	3	4	4
არ ვიცი	26	17	31	25
უარი პასუხზე	1	3		1
სულ	100	100	100	100

5_5. თქვენი აზრით, რამდენად დამოკიდებულები არიან მოსამართლეები დღეს საქართველოში სასამართლოში არსებულ კლანზე (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
სრულად დამოკიდებულები არიან	11	13	5	11
უფრო დამოკიდებულები არიან, ვიდრე არა	39	36	31	38
უფრო არ არიან დამოკიდებულები, ვიდრე არიან	11	15	5	11
საერთოდ არ არიან მათზე დამოკიდებულები	4	0		3
არ ვიცი	34	33	58	35
უარი პასუხზე	1	3		1

სულ	100	100	100	100

5_6. თქვენი აზრით, რამდენად დამოკიდებულები არიან მოსამართლეები დღეს საქართველოში იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
სრულად დამოკიდებულები არიან	9	11	5	9
უფრო დამოკიდებულები არიან, ვიდრე არა	37	30	40	36
უფრო არ არიან დამოკიდებულები, ვიდრე არიან	10	30	10	12
საერთოდ არ არიან მათზე დამოკიდებულები	3	0	2	3
არ ვიცი	40	26	43	40
უარი პასუხზე	0	3		1
სულ	100	100	100	100

6. თქვენი გამოცდილებით, რა გამოწვევებს აწყდებიან ბიზნეს ორგანიზაციები საქართველოში მართლმსაჯულების სფეროში? (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
სასამართლო პროცესები დროში ძალიან იწელება	31	30	45	31
სასამართლო არ არის განჭვრეტადი	5	5	3	5
სასამრთლოს მაღალი ბაჟი აქვს	12	19	25	13
სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება დროში იწელება	18	27	27	19
სასამართლოსთან კომუნიკაცია რთულია	6	9	7	6
სასამართლო სისტემაში პროფესიონალიზმის სიმცირეა	9	15	13	9
სასამართლოები არ არის დამოუკიდებელი	10	9	5	10
სხვა	0		5	0
არცერთი	2	1	3	2
არ ვიცი	42	33	22	41
უარი პასუხზე	2	1	1	2

7_1. თქვენი აზრით, რამდენად დადებით ან უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს სასამართლო სისტემაში დღეს არსებული მდგომარეობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე? (%)		
	ბიზნესის ზომა	ბიზნესები

	მცირე	საშუალო	მსხვილი	
ძალიან დადებით გავლენას	5	7		5
უფრო დადებით გავლენას, ვიდრე უარყოფითს	27	36	32	28
უფრო უარყოფით გავლენას, ვიდრე დადებითს	23	17	27	23
ძალიან უარყოფით გავლენას	7	8	18	7
არანაირ გავლენას	14	12	8	14
არ ვიცი	23	19	16	22
უარი პასუხზე	0			0
სულ	100	100	100	100

7_2. თქვენი აზრით, რამდენად დადებით ან უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს სასამართლო სისტემაში დღეს არსებული მდგომარეობა უცხოელი ინვესტორების მოზიდვაზე? (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
ძალიან დადებით გავლენას	4	2	4	4
უფრო დადებით გავლენას, ვიდრე უარყოფითს	23	35	28	24
უფრო უარყოფით გავლენას, ვიდრე დადებითს	22	21	25	22
ძალიან უარყოფით გავლენას	7	11	19	7
არანაირ გავლენას	15	8	9	14
არ ვიცი	30	24	14	29
უარი პასუხზე	0			0
სულ	100	100	100	100

7_3. თქვენი აზრით, რამდენად დადებით ან უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს სასამართლო სისტემაში დღეს არსებული მდგომარეობა ადგილობრივი ბიზნესის აქტივობების/არეალის გაფართოებაზე? (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
ძალიან დადებით გავლენას	5	7	1	5
უფრო დადებით გავლენას, ვიდრე უარყოფითს	24	35	33	25
უფრო უარყოფით გავლენას, ვიდრე დადებითს	21	16	26	21
ძალიან უარყოფით გავლენას	6	13	18	6
არანაირ გავლენას	17	7	13	17
არ ვიცი	26	20	10	25
უარი პასუხზე	0	2		0

სულ	100	100	100	100

8. გთხოვთ, მითხრათ, ჰქონია თუ არა თქვენს ბიზნეს ორგანიზაციას სასამართლოში საქმის გამოცდილება ბოლო 5 წლის მანძილზე? (%) იგულისხმება როგორც თქვენი ორგანიზაციის მიერ შეტანილი სარჩელი, ასევე თქვენი ორგანიზაციის წინააღმდეგ სარჩელი.				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
დიახ	7	21	22	8
არა	92	79	78	91
არ ვიცი	1			1
უარი პასუხზე	0			0
სულ	100	100	100	100

9. გთხოვთ, მითხრათ, რამდენ ხანს გაგრძელდა/გრძელდება სასამართლო პროცესი? (თვეები) (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
1	27	21	5	24
2	8	0		6
3	5	10		5
4	0	2		1
5			13	1
7	4	13		5
9	2		5	2
12	10	9	39	12
14			2	0
15	5			4
18	6		1	5
24	8	11		8
30	1		13	2
36	7	19		8
40			22	2
48	4	8		4
60	1	1		1
96	1			1
97	1			1
99	5	6		5
100	2			1
144	2			1
სულ	100	100	100	100

10. გთხოვთ, მითხრათ, რა შედეგით დასრულდა თქვენი ორგანიზაციის საქმე სასამართლოში? (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
საქმე დასრულდა ბიზნეს ორგანიზაციის სასარგებლოდ	37	58	37	40
საქმე დასრულდა ბიზნეს ორგანიზაციის საწინააღმდეგოდ	12	12		11
საქმე დასრულდა მორიგებით	15	16		14
საქმე კვლავ მიმდინარეობს	34	14	63	33
არ ვიცი	2			1
სულ	100	100	100	100

11. გთხოვთ, მითხრათ, საერთო ჯამში, რამდენად კმაყოფილი ხართ სასამართლო პროცესით? (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
ძალიან უკმაყოფილო	14	11	35	16
ნაწილობრივ უკმაყოფილო	25	3	15	21
ნაწილობრივ კმაყოფილი	41	55	45	43
ძალიან კმაყოფილი	18	31	5	19
არ ვიცი	2	1		1
უარი პასუხზე	0			0
სულ	100	100	100	100

12. გთხოვთ, მითხრათ, რატომ ხართ უკმაყოფილო? (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
სასამართლო პროცესი ძალიან გაიწელა	61	75	55	61
გვიჭირდა საქმის მიმდინარეობაზე სასამართლოსგან ინფორმაციის მიღება	32	25		28
სხვა	7		45	11
სულ	100	100	100	100

13. გთხოვთ, მითხრათ, თქვენი გამოცდილებით, რამდენად დროულად ხდება სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება? (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
დაგვიანებით	22	29	19	23
ნაწილობრივ დროულად	27	28	30	27
დროულად	12	13	7	12

აღსრულება საერთოდ არ ხდება	2	1	5	2
არ ვიცი	36	29	38	36
უარი პასუხზე	0			0
სულ	100	100	100	100

14. გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობას? (%)

	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
ძალიან ცუდად	2	2	6	2
ცუდად	5	0	10	5
საშუალოდ	21	27	24	21
კარგად	12	20	11	13
ძალიან კარგად	1	1		1
არ მქონია შეხება აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან	50	43	42	50
არ ვიცი	8	5	8	8
უარი პასუხზე	0	2		0
სულ	100	100	100	100

15. გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით კერძო აღმასრულებლების საქმიანობას? (%)

	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
ძალიან ცუდად	2		5	2
ცუდად	2	4	6	3
საშუალოდ	14	20	15	14
კარგად	9	7	12	9
ძალიან კარგად	1	1		1
არ მქონია შეხება კერძო აღმასრულებლებთან	62	57	56	62
არ ვიცი	10	9	7	10
უარი პასუხზე	0	2		0
სულ	100	100	100	100

16. გთხოვთ, მითხრათ, რა შემთხვევაში მიმართავდა თქვენი ბიზნეს ორგანიზაცია სასამართლოს? (%)

	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
შრომითი დავის შემთხვევაში	24	24	28	24
სესხის/თანხის ამოღების შემთხვევაში	29	34	54	30
კონტრაქტის პირობების დარღვევის შემთხვევაში	31	36	51	32

ადმინისტრაციული ორგანოსთან უთანხმოების შემთხვევაში	25	39	29	26
საგადასახადო დავების შემთხვევაში	41	29	23	40
სხვა	1	0		0
საერთოდ არ მივმართავდი	3	3		3
არ ვიცი	24	18	4	23
უარი პასუხზე	2			1

17. ბოლო 5 წლის განმავლობაში ჰქონდა თუ არა თქვენს ბიზნეს ორგანიზაციას სასამართლოსთვის მიმართვის საჭიროება, მაგრამ არ მიუმართავს მისთვის? (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
დიახ (გქონიათ სასამართლოსთვის მიმართვის საჭიროება და არ მიგიმართავთ)	5	16	1	5
არა, გქონდათ საჭიროება და მიმართეთ	5	12	20	6
არა, არ გქონიათ საჭიროება	89	72	74	88
არ ვიცი	1			1
უარი პასუხზე	0		5	0
სულ	100	100	100	100

17a. თუკი ბოლო 5 წლის განმავლობაში თქვენს ბიზნესს ჰქონდა სასამართლოსთვის მიმართვის საჭიროება, მაგრამ არ მიუმართავს მისთვის, გთხოვთ, მითხრათ, რატომ. (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
დროში გაწელილი პროცესების გამო	32	4		27
მაღალი ხარჯის გამო	9	30		12
მაღალი ხარჯისა და დროის გამო (გაწელილი პროცესები)	12	15		12
სასამართლოები არ არიან დამოუკიდებლები	2			2
ჩვენით მოვაგვარეთ	3	35	100	9
არ ღირდა	14			11
ბიუროკრატიის გამო	2	12		4
სასამართლოსადმი უნდობლობის გამო	8	4		8
დროის უქონლობის გამო	2			2
მივმართეთ თბილისის სადაო სამსახურს	2			1
არ ვიცი	11			9

უარი პასუხზე	3			2
სულ	100	100	100	100

18. გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით არბიტრაჟის საქმიანობას საქართველოში? (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
ძალიან ცუდად	1	2		1
ცუდად	2	5	7	2
საშუალოდ	12	28	13	13
კარგად	7	8	13	7
ძალიან კარგად	1		0	1
არ მაქვს ინფორმაცია არბიტრაჟის შესახებ	70	45	61	68
არ ვიცი	7	12	7	8
სულ	100	100	100	100

19. გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ენდობით ან არ ენდობით არბიტრაჟს საქართველოში? (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
საერთოდ არ ვენდობი	2	6	4	2
ნაწილობრივ არ ვენდობი	3	5	5	4
ნაწილობრივ ვენდობი	13	27	19	14
სრულად ვენდობი	5	8	7	5
არ მაქვს ინფორმაცია არბიტრაჟის შესახებ	70	45	61	68
არ ვიცი	6	9	4	6
უარი პასუხზე	0			0
სულ	100	100	100	100

20. გთხოვთ, მითხრათ, გამოგიყენებიათ თუ არა არბიტრაჟი ბოლო 5 წლის მანძილზე? (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
დიახ	1	4	0	1
არა	98	93	100	98
არ ვიცი	1			1
უარი პასუხზე	0	3		0
სულ	100	100	100	100

21. გთხოვთ, მითხრათ, საერთო ჯამში, რამდენად კმაყოფილი ხართ არბიტრაჟით? (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
ძალიან უკმაყოფილო		50		13
ნაწილობრივ უკმაყოფილო	28	50		33
ნაწილობრივ კმაყოფილი	58			43
ძალიან კმაყოფილი	14		100	11
სულ	100	100	100	100

22. გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით სასამართლო მედიაციის საქმიანობას საქართველოში? (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
ძალიან ცუდად	1	2		1
ცუდად	2	0	5	2
საშუალოდ	14	36	15	15
კარგად	7	14	16	8
ძალიან კარგად	2	2	1	2
არ მაქვს ინფორმაცია სასამართლო მედიაციის შესახებ	68	39	54	66
არ ვიცი	6	7	9	6
უარი პასუხზე	0	1		0
სულ	100	100	100	100

23. გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ენდობით ან არ ენდობით სასამართლო მედიაციას საქართველოში? (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
საერთოდ არ ვენდობი	2	2	1	2
ნაწილობრივ არ ვენდობი	4	4	7	4
ნაწილობრივ ვენდობი	15	38	22	17
სრულად ვენდობი	5	9	9	5
არ მაქვს ინფორმაცია სასამართლო მედიაციის შესახებ	68	39	54	66
არ ვიცი	6	7	6	6
უარი პასუხზე	0	1		0
სულ	100	100	100	100

24. გთხოვთ, მითხრათ, გამოგიყენებიათ თუ არა სასამართლო მედიაცია ბოლო 5 წლის მანძილზე? (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	

დიახ	1	10	3	2
არა	98	90	97	98
არ ვიცი	1			1
სულ	100	100	100	100

25. გთხოვთ, მითხრათ, საერთო ჯამში, რამდენად კმაყოფილი ხართ სასამართლო მედიაციით? (%)				
	ბიზნესის ზომა			ბიზნესები
	მცირე	საშუალო	მსხვილი	
ძალიან უკმაყოფილო	6	19		10
ნაწილობრივ უკმაყოფილო	18			11
ნაწილობრივ კმაყოფილი	29	40		31
ძალიან კმაყოფილი	39	41	100	43
არ ვიცი	8			5
სულ	100	100	100	100

დანართი 3: ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტები

ფოკუს ჯგუფი მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან აჭარაში:

- მცირე ბიზნესი, საცალო ვაჭრობა, ოპერირება ბათუმში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება არ ჰქონია;
- ინდივიდუალური მეწარმე, ოპერირებს ბათუმში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება არ ჰქონია;
- მცირე ბიზნესი, სამკერვალო, ოპერირებს ბათუმში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება არ ჰქონია;
- მცირე ბიზნესი, საცალო ვაჭრობა, ოპერირებს ბათუმში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება არ ჰქონია;
- ინდივიდუალური მეწარმე, ჰოლანდიური ყვავილების მიწოდება, ოპერირებს აჭარასა და გურიაში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება ჰქონია;
- მცირე ბიზნესი, საცალო ვაჭრობა, ოპერირებს ბათუმსა და თბილისში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება არ ჰქონია;
- ინდივიდუალური მეწარმე, სილამაზის სალონი, ოპერირებს ბათუმში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება ჰქონია;
- მცირე ბიზნესი, სამშენებლო სექტორი, ოპერირებს ბათუმში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება არ ჰქონია.

ფოკუს ჯგუფი საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან აღმოსავლეთ საქართველოში:

- მცირე ბიზნესი, საცალო ვაჭრობა, ოპერირებს ხაშურში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება არ ჰქონია;
- საშუალო ბიზნესი, საცალო ვაჭრობა, ოპერირებს ხაშურში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება არ ჰქონია;
- მცირე ბიზნესი, საცალო ვაჭრობა, ოპერირებს ხაშურში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება არ ჰქონია;
- მცირე ბიზნესი, მეტალის დამუშავება, ოპერირებს კახეთში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება არ ჰქონია;
- მცირე ბიზნესი, საცალო ვაჭრობა, ოპერირებს თელავში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება არ ჰქონია;
- მცირე ბიზნესი, საცალო ვაჭრობა, ოპერირებს ქარელში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება არ ჰქონია.

ფოკუს ჯგუფი საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან სამეგრელოში:

- საშუალო ბიზნესი, ოპერირებს სამეგრელო - ზემო სვანეთში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება არ ჰქონია;
- საშუალო ბიზნესი, ოპერირებს ზუგდიდში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება ჰქონია;

- მცირე ბიზნესი, ოპერირებს ზუგდიდში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება არ ჰქონია;
- საშუალო ბიზნესი, ოპერირებს ზუგდიდში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება არ ჰქონია;
- მცირე ბიზნესი, ოპერირებს ზუგდიდში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება არ ჰქონია;
- საშუალო ბიზნესი, ოპერირებს ზუგდიდში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება ჰქონია.

ფოკუს ჯგუფი საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან და იურისტებთან თბილისში:

- საშუალო ბიზნესი, გერმანული კომპანიის წარმომადგენელი თბილისში, ოპერირებს საქართველოში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება ჰქონია;
- საშუალო ბიზნესი, ღვინის წარმოების სექტორი, ოპერირებს კახეთში და ყიდის საქართველოში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება ჰქონია;
- საშუალო და მსხვილი ბიზნესების კონსულტანტი იურიდიულ საკითხებში, თბილისი;
- საშუალო ბიზნესი, ლითონის ჩამოსხმის წარმოება, ოპერირებს საქართველოში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო გამოცდილება ჰქონია;
- ბიზნეს ასოციაცია.

ფოკუს ჯგუფი მიკროსაფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან:

- მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ოპერირებს დასავლეთ საქართველოში;
- მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ოპერირებს საქართველოში;
- მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ოპერირებს საქართველოში;
- მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ოპერირებს საქართველოში;
- მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ოპერირებს საქართველოს დიდ ქალაქებში;
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, ოპერირებს საქართველოში.

სიღრმისეული ინტერვიუები

- მსხვილი ბიზნესი, სამშენებლო სექტორი, ოპერირებს თბილისსა და ბათუმში;
- მსხვილი ბიზნესი, საბანკო სფერო, ოპერირებს საქართველოში;
- მსხვილი ბიზნესი, საკვების წარმოება და საცალო მაღაზიები, ოპერირებს საქართველოში;
- მსხვილი ბიზნესი, საბანკო სფერო, ოპერირებს საქართველოში;
- მსხვილი ბიზნესი, სააფთიაქო ქსელი, ოპერირებს საქართველოში;
- იურიდიული ფირმა, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია;
- იურიდიული ფირმა, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია.